პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 60 (5460) | ოთხშაბათი, 15 მარტი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა და განიხილა რა ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.
2. მოწონებულ იქნას ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენება და წინადადება მიეცეს ყველა პარტორგანიზაციას იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში ამხ. სტალინის მოხსენებაში წამოყენებული დებულებებითა და ამოცანებით.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია

ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად;

დამტკიცებულ იქნას ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია

კომინტერნის აღმასკომში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციის მუშაობის შესახებ ამხ. მანუილსკის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა და განიხილა რა კომინტერნში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციის ანგარიში, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა იწონებს კომინტერნში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ მუშაობას.

ყრილობის დღიური

12 მარტის საღამოს სხდომა

18 საათსა და 10 წუთზე თავმჯდომარე ამხ. ანდრეევი ყრილობის საღამოს სხდომას ხსნის და სიტყვას აძლევს ამხ. ემ. იაროსლავსკის.

ორატორი თავის გამოსვლას იწყებს სიტყვის გენიალური რუსი ოსტატის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ნათქვამით:

„ჩვენ გამოვდივართ იმ ქვეყანაში, რომელიც განათებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გენიით, იმ ქვეყანაში, სადაც დაუცხრომლად და სასწაულებრივად მუშაობს იოსებ სტალინის რკინისებური ნებისყოფა“.

ამხ. იაროსლავსკი გატაცებით ლაპარაკობს პარტიის ბელადის მრავალმხრივსა და ნაყოფიერ მუშაობაზე. ყრილობა არაერთხელ აწყვეტინებს მქუხარე ტაშით ამ სიტყვას, რომელიც მიძღვნილია სტალინის — ბოლშევიზმის ბელადის, თეორეტიკოსის, ისტორიკოსის—როლისადმი. ორატორი ლაპარაკობს ამხანაგ სტალინის გიგანტურ მუშაობაზე რევოლუციური თეორიით პარტიის, მთელი ხალხის შეიარაღების დარგში, კადრების იდეოლოგიური აღზრდის დარგში. მოუწოდა რა ჩვენს კადრებს თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისაკენ, ამხანაგმა სტალინმა პირადად უდიდესი მუშაობა შეასრულა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესადგენად.

— განა, — ამბობს ამხ. იაროსლავსკი, — ყველა ჩვენგანში აღტაცებას არ იწვევს ამხანაგ სტალინის ეს მუშაობა, რომლისთვისაც მან დრო გამონახა (ხოლო, როგორც თქვენ იცით, ამას ძალიან ბევრი დრო დასჭირდა!) იმ გიგანტური სახელმწიფო მუშაობის დროს, რასაც ასრულებს ამხანაგი სტალინი! მაგრამ ეს შრომა ამხანაგ სტალინის ერთადერთი ნაშრომი როდია ისტორიულ ფრონტზე, მეცნიერების ფრონტზე ამ უკანასკნელ პერიოდში. საკმარისია მოვაგონოთ ამხანაგების სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის მთელი რიგი მითითებანი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოთა შედგენის დარგში, მითითებანი სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოსა და სხვა სახელმძღვანელოთა შედგენის დარგში.

პარტია სტალინს უნდა უმადლოდეს მთელი რიგი უაღრესად აქტუალური საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტას. ისტორიულ ფრონტზე ტროცკისტულ და ყოველგვარ სხვა ანტილენინურ კონტრაბანდასთან ბრძოლამ, პოკროვსკის „ისტორიული სკოლის“ ანტილენინურ დამახინჯებებთან ბრძოლამ, ჩვენი ისტორიკოსებისათვის ამხანაგ სტალინის მიერ მიცემულმა კონკრეტულმა მითითებებმა, მათი შეცდომების კონკრეტულმა კრიტიკამ — ყოველივე ამან მთელი გადატრიალება გამოიწვია ჩვენს მეცნიერებაში. უეჭველია, რომ ამ გადატრიალების გავლენით სსრ კავშირში პირველად იწყებს მეცნიერებათა აკადემია მარქსისტული მსოფლიო ისტორიის გამოცემას.

უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა მოწინავე მეცნიერების შესახებ, რომელიც ხალხს იმსახურება. ისეთი მეცნიერული მოღვაწის ნიმუშად, რომელიც წინ სწევს მეცნიერებას, მან ლენინი დაასახელა.

— ჩვენ ვიტყვით, — აცხადებს მქუხარე ტაშის გრიალში ამხ. იაროსლავსკი,—რომ ნიმუში მეცნიერების ისეთი მოღვაწისა, რომელიც ახალ გზებს ჰკაფავს, დრომოჭმულ ნორმებს ამსხვრევს, ყველა კარს უხსნის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ძალებს და შესაძლებლობას აძლევს მათ დაიპყრონ მეცნიერების მწვერვალები, არის ჩვენი პარტიის მესაჭე ამხანაგი სტალინი!

სტალინურ რკინისებურ ნებისყოფაზე, რომელიც ახდენს ჩვენი ქვეყნის მთელი წყობის გარდაქმნას, ლაპარაკობს ამხ. დონსკოი და თავის სიტყვას შორეულ აღმოსავლეთის მაგალითებით ასურათებს. ისტორიაში, — აცხადებს იგი, — არა ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ძირფესვიანად გარდაქმნილიყო მთელი მხარე, რომელიც თავისი ტერიტორიით ევროპის ბარემ ათამდე სახელმწიფოს უდრის, ისეთი მაგალითი, როგორსაც წარმოადგენს საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი მუშაობის შედეგები. ამჟამად დიადი მშენებლობაა გაჩაღებული კამჩატკაზე, სახალინზე, კოლიმაზე — რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ტაიგებს, გაუვალ რაიონებს წარმოადგენდნენ.

ამხ. დონსკოი აღნიშნავს, რომ ხაბაროვსკის მხარე უმნიშვნელოვანესი საბჭოთა მიჯნაა. ტყუილად კი არ უჭირავთ მასზე თვალი იაპონელ ფაშისტებს.

— ჩვენი მოუსვენარი მეზობლები ამ ბოლო დროს განსაკუთრებით დაჟინებით ცდილობენ დაიჭირონ თევზი ჩვენს ოხოტსკის ზღვაში. ისინი ცდილობენ დაიკავონ ამ მიზნით ჩვენი საბჭოთა ნაპირები. წარსულ წელს, როგორც ვიცით, ეს ბატონი მეთევზეები ცდილობდნენ თევზის დაჭერას ჩვენს ნაპირებთან, ხასანის ტბასთან. თქვენ იცით, თუ რით დამთავრდა ეს ცდა. საბჭოთა ხალხმა, მისმა მამაცმა წითელმა არმიამ ისეთი დღე დააყენეს მათ, რომ მეთევზეებმა ანკესის დახვევაც კი ვერ მოასწრეს...

(მთელი ყრილობა მხიარულად იცინის უიღბლო მეთევზეების ამბავზე).

— თუ საჭირო იქნება, — განაგრძობს ამხ. დონსკოი, — ხასანის გაკვეთილის კიდევ უფრო ფართო მასშტაბით განმეორება ჩვენი მოუსვენარი მეზობლებისათვის, — ჩვენ მას გავიმეორებთ. გავიმეორებთ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი მძლავრი მასწავლებლები შინ მივლენ მოწაფეებთან და თან მიიტანენ ყველა თვალსაჩინო ხელსაწყოს!

ტრიბუნაზე ადის ამხ. ლავრენტი ბერია, რომელსაც ყრილობა გულთბილად ეგებება. იგი ლაპარაკობს სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებზე სსრ კავშირში, მას პარალელი გაჰყავს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალისტურ, ფაშისტურ ქვეყნებს შორის.

— ჩვენი ბოლშევიკური ყრილობა სახავს და ამტკიცებს შემდგომი სოციალისტური მშენებლობის დიად გეგმებს მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო მეტი ამაღლებისათვის. კაპიტალის ქვეყნებში კი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მესვეურების ყველა ღონისძიება მიმართულია გამანადგურებელი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებისაკენ. ამხ. ბერია ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულია იმპერიალისტური შეთქმულების მახვილი. აქედან გამომდინარეობს ანტიკომინტერნული ბლოკები, ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშების, მავნებლების, დივერსანტების შემოგზავნა ჩვენს ქვეყანაში. ამხ. ბერია ლაპარაკობს კაპიტალისტურ გარემოცვაზე, იმაზე, რომ საჭიროა ყოველნაირად განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა—საუკეთესო გარანტია ომის წინააღმდეგ, ფაშისტ-აგრესორების წინააღმდეგ.

— ხასანის გაკვეთილები მიეცა არა მარტო იაპონელ დამრბევებს, არამედ აგრეთვე ყველა აგრესორს ეგრეთწოდებული ანტიკომინტერნული ბლოკიდან!

ეხება რა საშინაო ხასიათის საკითხებს, ამხ. ბერია ამბობს, რომ აუცილებელია საბჭოთა და სამეურნეო აპარატების ყველა მუშაკი დაეუფლოს ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ სტილს. შეცდომა იქნებოდა, რომ ის გარღვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სახალხო მეურნეობის მთელ რიგ რგოლებში, მხოლოდ იმ ძირგამომთხრელი მუშაობით აგვეხსნა, რასაც მტრები ეწეოდნენ. ეს გარღვევები რამდენადმე უნდა მიეწეროს იმ მთელი რიგი ჩვენი მუშაკების ცუდ, უხეირო მუშაობას, რომელთაც ჯერ კიდევ საკმაოდ არ შეუთვისებიათ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სტილი.

ამხ. ბერიას შინაარსიანი სიტყვა რამდენიმეჯერ იქნა შეწყვეტილი მთელი დარბაზის ტაშით.

ყრილობის სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. მალენკოვს, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. სამანდატო კომისიის მოკლე, მეტად შინაარსიანი, მკაფიო მაგალითებითა და ციფრებით სავსე მოხსენებამ ცხადჰყო პარტიული ყრილობის სახე. პარტიის XVIII ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა ასახავს საბჭოთა საზოგადოების ადამიანებს, მისი ხელმძღვანელი, წამყვანი კადრების ზრდას. დელეგატების შემადგენლობა ასახავს დიადი ბოლშევიკური პარტიის სახეს. ყრილობამ თავი მოუყარა პარტიის საუკეთესო ადამიანებს, მის ტვინს, მის ნაღებს. ამხ. მალენკოვის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები მჭერმეტყველური, მნიშვნელოვანი, დიდი და ღრმა აზრით აღსავსე ცნობებია.

ამხ. მალენკოვის მოხსენების ბოლო სიტყვები:

— დარაზმული და ერთიანი შეხვდა ჩვენი პარტია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით თავის XVIII ყრილობას! გაუმარჯოს კომუნიზმის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!

ხანგრძლივი, მქუხარე ტაში იწვევს. ყველანი ფეხზე დგებიან, დარბაზში გაისმის შეძახილები: **„ვაშა** ჩვენს მესაჭეს ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

15 წუთიანი შესვენების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. შახურინს. ის ახასიათებს გორკის ოლქის მზარდ მრეწველობას. მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანამ 1933 წელს ჩვენს ქვეყანას მისცა 26 ათასი მანქანა. 1938 წელს ქარხანამ უკვე 139.739 ავტომობილი მოგვცა.

ამხ. შახურინი ყრილობას აუწყებს, რომ გორკიში ათვისებულია გაზგენერატორიანი სატვირთო მანქანების წარმოება. პარტყრილობის გახსნის დღისათვის ავტოქარხანამ გამოუშვა 500 გაზგენერატორიანი მანქანა.

დელეგატები დიდი ინტერესით ისმენენ ამხ. ნ. მ. შვერნიკის სიტყვას. ამხ. შვერნიკმა ყრილობას მოახსენა მჭერმეტყველური ცნობები, რომლებიც მოწმობენ მილიონობით მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელ აღმავლობას.

ამხ. შვერნიკმა თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი მოანდომა მასების კომუნისტური აღზრდის საკითხებს. პროფკავშირებმა უნდა განუმარტონ მშრომელებს მესამე ხუთწლედის ამოცანები, ყოველნაირად უნდა განავითარონ სტახანოვური მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრება.

საინტერესო ცნობები, რომლებიც ახასიათებენ თათრეთის თანამედროვე მეურნეობას, მოჰყავს ამხ. ალემასოვს. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე რესპუბლიკაში ტრაქტორების რიცხვი გადიდდა 4-ჯერ, კომბაინებისა—13,5-ჯერ სატვირთო ავტომანქანებისა — 33-ჯერ. იზრდება რესპუბლიკის მეურნეობა, იზრდებიან მისი კადრები. გასული წლის განმავლობაში მარტო რესპუბლიკურ და რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 3 ათასი კაცი. დაწინაურებული ამხანაგების ნახევარი თათრები არიან.

ყრილობის საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. პროტოპოპოვი (ტაჯიკეთი) და ამხ. ბადაევი, რომელთაც ყრილობა გულთბილად შეხვდა.

13 მარტის დილის სხდომა

დილის 11 საათსა და 10 წუთზე ყრილობის პრეზიდიუმში ჩნდებიან ამხანაგები **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ანდრეევი, ბუდიონი** და სხვები. ყრილობის დელეგატები მქუხარე ოვაციით ხვდებიან პარტიის ბელადსა და მის თანამებრძოლთ.

ყრილობის დილის სხდომას ხსნის ამხ. **ანდრეევი**.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ **ხრუშჩოვს**. ტრიბუნაზე ამხ. ხრუშჩოვის გამოჩენას ყრილობა მხურვალე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდება.

— ამხანაგებო; ჩვენს XVIII პარტიულ ყრილობაზე მოვისმინეთ ანგარიში კომუნიზმისათვის ბრძოლისა, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის, ჩვენი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა ბრძოლისა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი გენიალური ბელადის, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. ამხ. ხრუშჩოვს სიტყვას აწყვეტინებენ ხანგრძლივი ტაშით რაც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან.

— ეს წარმატებანი,—განაგრძობს ამხ. ხრუშჩოვი, — მოპოვებულია მუშათა კლასის მტრებთან, გლეხობის მტრებთან, მთელი ჩვენი ხალხის მტრებთან სასტიკ ბრძოლაში, ბრძოლაში ფაშისტურ დაზვერვათა აგენტებთან, ტროცკისტებთან, ბუხარინელებთან და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, რომელთაც სურდათ დაემონებინათ ჩვენი აყვავებული საბჭოთა უკრაინა. არ გამოვიდა, არ გამოვა არასოდეს—ამბობს ამხ. ხრუშჩოვი,—და ყველას, ვინც თავისუფლებისმოყვარულ უკრაინელი ხალხის მიწა-წყალს ხელჰყოფს, საძაგელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ხვედრი, ხალხის წყევლა-კრულვა და ცოფიანი ძაღლებივით განადგურება მოელის.

ამხ. ხრუშჩოვი გვიხატავს საბჭოთა უკრაინის აყვავების შესანიშნავ სურათს, დასაბუთებულს უაღრესად საინტერესო ფაქტებითა და ციფრებით, რომლებიც ასახავენ უკრაინელი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას. მეორე სტალინურ ხუთწლედში თუჯის გამოშვება უკრაინაში გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად, ფოლადისწარმოება გადიდდა თითქმის ერთი-სამად. უკრაინის ქარხნები იმდენ ფოლადს ამზადებენ წელიწადში, რამდენსაც იაპონია, იტალია და პოლონეთი ერთად აღებულნი. მანქანათმშენებლობა, 1913 წელთან შედარებით, 30-ჯერ გაიზარდა.

სწრაფად გაიზარდა საბჭოთა უკრაინის სასოფლო მეურნეობაც. ყველა გლეხურ მეურნეობათა 96 პროცენტზე მეტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ მთელი ნათესი ფართობების 99,6 პროცენტი. სოციალისტური სასოფლო მეურნეობა უაღრესად მაშინიზებულია, ამას მოწმობენ ასეთი ციფრები: 1933 წელს ტრაქტორების რიცხვი 39 ათასს უდრიდა, ხოლო 1939 წელს უკრაინის მინდვრებში მუშაობს 90 ათასი ტრაქტორი და 28.800 კომბაინი. სოფლის მეურნეობის ტექნიკის მაღალი დონე სავსებით უზრუნველჰყოფს ამხანაგ სტალინის მოწოდების შესრულებას მრეწველობაში სამუშაოდ კოლმეურნეობების გამოყოფის შესახებ.

ამხ. ხრუშჩოვი დაწვრილებით შეჩერდა სოციალისტური მეცხოველეობის წარმატებებზე.

საუცხოოდ გაისმის ამხ. ხრუშჩოვის მიერ მოყვანილი ცნობები უკრაინის კოლმეურნეთა შეძლებულობის შესახებ. კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა 1934 წლიდან 1938 წლამდე სამნახევარჯერ გაიზარდა.

საბჭოთა უკრაინის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის დიდ ზრდას მოწმობენ სახალხო განათლებაზე გაწეული ხარჯების ციფრები. 1927 წელს ასიგნობები სკოლებზე, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე შეადგენდა 141 მილიონ მანეთს, 1932 წელს—597 მილიონ მანეთს, ხოლო 1938 წელს—2.830 მილიონ მანეთს. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საშუალო სკოლების რაოდენობა 9,7-ჯერ გაიზარდა.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში გამოშვებულია 98 ათასი საბჭოთა სპეციალისტი. საბჭოთა ინტელიგენციის ეს უდიდესი არმია, რომელიც გამოვიდა მუშათა კლასის, მშრომელების წიაღიდან, აქტიურად იბრძვის ლენინ-სტალინის საქმისათვის.

ამხ. ხრუშჩოვს უკანასკნელ სიტყვებს აწყვეტინებენ მქუხარე ტაშით, შეძახილებით „ურა!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „ვაშა საყვარელ სტალინს!“.

სიტყვა ეძლევა ამხ. **შკირიატოვს.** ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება მას.

ამხ. შკირიატოვი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის მტერთა განადგურების შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგ სტალინის უდიდეს როლს მოღალატეთა და გამცემთაგან პარტიული რიგებისა და საბჭოთა ორგანოების გაწმენდის საქმეში.

შემდეგ ამხ. შკირიატოვი დაწვრილებით შეჩერდა ახალი კადრების დაწინაურებაზე. იგი ამბობს, რომ ჯერ კიდევ არ კმარა ახალი კადრების დაწინაურება, საჭიროა მუდმივი, ყოველდღიური ზრუნვა დაწინაურებულ მუშაკზე. საჭიროა ბრძოლა ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის იმ მითითებათა სულ მცირე დარღვევასთან, რომლებიც დაწინაურებულ ამხანაგებთან მუშაობას შეეხება.

ამხ. შკირიატოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინა ყრილობამ და იგი არაერთხელ შეაწყვეტინეს მას ტაშით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ნიკიტინს** (ვორონეჟის ოლქი).

ამხ. ნიკიტინი აღნიშნავს, რომ ვორონეჟის ოლქი პარტიის XVIII ყრილობისათვის გადაიქცა განვითარებული მსხვილი მრეწველობისა და უაღრესად მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი მიწათმოქმედების ოლქად. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში აგებულია სოციალისტური მრეწველობის 30-ზე მეტი უდიდესი გიგანტი. 16-ჯერ გადიდდა საერთო პროდუქციის გამოშვება. სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა 28 პროცენტიდან 57 პროცენტამდე გაიზარდა.

ვორონეჟის ოლქის სოციალისტური მიწათმოქმედების უდიდეს გამარჯვებებს მოწმობენ შემდეგი ციფრები. გლეხთა მთელი ნათესების 99,4 პროცენტი კოლმეურნეობებშია თავმოყრილი. მარცვლეულის საერთო მოსავალი 1913 წლის 24 მილიონი ცენტნერიდან გაიზარდა 35 მილიონ ცენტნერამდე 1937 წელს.

ამხ. ნიკიტინი დაწვრილებით შეჩერდა საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შეცდომებზე. ამჟამად ვორონეჟის ოლქის ბოლშევიკებმა გაითვალისწინეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითება და გაბედულად იბრძვიან პოლიტიკური უდარდელობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ.

მკაფიო სიტყვით გამოვიდა ამხ. **პოსკრებიშევი**, რომელსაც ყრილობა გულთბილად შეხვდა. მან უამბო ყრილობას პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის უდიდესი ზრუნვის შესახებ კადრების აღზრდისათვის.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის სწორმა პოლიტიკამ კადრების გამოზრდისა და შერჩევის საქმეში, — ამბობს ამხ. პოსკრებიშევი,—შესაძლებლობა მოგვცა ასი ათასობით პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები დაგვეწინაურებინა ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიულ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში.

ჩვენი პარტიის ოცი წლის მუშაობამ სოციალიზმის მშენებლობისათვის უკვე მოგვცა შედეგები — ჩვენ ავაგეთ სოციალისტური საზოგადოება. კიდევ ოცი წლის მუშაობა მოგვცემს უმაღლეს ფაზას—კომუნისტურ საზოგადოებას.

ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელი ამ დღეებს, პარტიის ყრილობის დღეებს, არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით განიცდის. აქ, ყრილობაზე, საბჭოთა კავშირის თვითეული მშრომელისა და მთელი საბჭოთა ხალხის მუშაობის შედეგების შეჯამება ხდება. ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს შედეგები ძალას გვმატებენ და გვაფრთოვანებენ მომავალი მუშაობისათვის კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. ჩვენი კავშირის თვითეული მშრომელი სიყვარულით წარმოსთქვამს ლენინისა და სტალინის—სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების—დიად სახელებს. მათ, და მხოლოდ მათ, დაიცვეს და შემდგომ განავითარეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, ააგეს სოციალიზმის უდიდესი შენობა.

ჩვენი საკავშირო კომუნისტური პარტია, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს, მომავალშიც ასევე თავდადებულად იმუშავებს საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

სტალინი ჩვენი გამარჯვებების დროშაა, სტალინი კაპიტალიზმის უღლისაგან მშრომელების განთავისუფლებაა, სტალინი მშრომელთა ბედნიერებაა, სტალინი კომუნიზმის გამარჯვების თავდებია!

გაუმარჯოს კომუნიზმის დიადსა და უძლეველ დროშას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს დიდ სტალინს!

(მქუხარე ტაში ჰფარავს ამხ. პოსკრებიშევის ამ სიტყვებს).

თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვის** გამოჩენას ტრიბუნაზე ყრილობის დელეგატები მქუხარე ოვაციებით ხვდებიან. შეუწყვეტელი „ურა“ გრიალებს დარბაზში, ყველა დელეგატი, ფეხზე ამდგარი, მიესალმება ამხანაგ ვოროშილოვს.

ბრწყინვალე დიდ სიტყვაში, რომელიც გამოქვეყნდება პრესაში, ამხანაგმა ვოროშილოვმა დახატა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძალისა და ძლიერების დაუვიწყარი სურათი, არმიისა, რომელიც ჩვენი სამშობლოს საიმედო მცველია.

ამხ. ვოროშილოვი თავის სიტყვას ათავებს სამხედრო ფიცის ამაღლებული სიტყვებით და გამარჯვებას უსურვებს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, პარტიის XVIII ყრილობას, ამხანაგ **სტალინს.**

ამხანაგ ვოროშილოვის სიტყვა, რომელიც არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით და რომელიც მთელმა ყრილობამ დაძაბული ყურადღებით მოისმინა, დამთავრდა მთელი დარბაზის მქუხარე ოვაციებით, ოვაციებით, რომლებიც გამოხატავს საყოველთაო-სახალხო სიყვარულს ჩვენი მშობლიური უძლეველი წითელი არმიისა და მისი ბელადისადმი, გამოხატავს სიამაყესა და სიხარულს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მდგომარეობით.

13 მარტის საღამოს სხდომა

მეშვიდეჯერ შედიან პარტიის XVIII ყრილობის დელეგატები კრემლის სასახლის დიდ დარბაზში. ყრილობის შვიდ სხდომაზე დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამართულ კამათში უკვე გამოვიდა 33 ამხანაგი. წყნარი ოკეანის ნაპირებიდან ლამაზი დნეპრის ლაჟვარდოვან ზვირთებამდე, ფინეთის ცივი კლდეებიდან მგზნებარე კოლხიდამდე გადაჭიმულია საბჭოთა კავშირის სივრცე. იგი თითქოს შევიდა ყრილობის სხდომათა დარბაზში დელეგატებთან ერთად, რომლებიც ანსახიერებენ მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოს ყველა ხალხს, ყველა რესპუბლიკასა და ოლქს. რსფსრ, უკრაინა, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, ბელორუსია, შორეული აღმოსავლეთი... თვითეული ეს სახელწოდება იწვევს უამრავ ასოციაციას, აზრსა და გრძნობას.

ტრიბუნაზე ადის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ჩარკვიანი.** დელეგატები გულთბილად ხვდებიან საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოსვლას. ეს ორგანიზაცია გამოჭედილი და აღზრდილია სტალინის მიერ.

ამხ. ჩარკვიანი იძლევა მკაფიო სურათს საქართველოს სოციალისტური გარდაქმნისას უკანასკნელი წლების მანძილზე:

— საქართველოს ბოლშევიკები, ისე როგორც მთელი ჩვენი დიადი პარტია, XVIII ყრილობას შეეგებნენ უდიდესი მიღწევებით. საქართველო გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ საბჭოთა რესპუბლიკად, განვითარებული მრეწველობით, მოწინავე სოფლის მეურნეობით და მზარდი სოციალისტური კულტურით.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს მრეწველობის პროდუქცია 422,8 მილიონი მანეთიდან 1932 წელს—გაიზარდა 867,8 მილიონ მანეთამდე 1937 წელს. რესპუბლიკაში ამ წლების მანძილზე აშენდა ათობით ახალი საწარმო. მკვლევარ-გეოლოგებმა აღმოაჩინეს რესპუბლიკის მიწის წიაღის სიმდიდრენი, და ეს კვლევითი მუშაობა ახლაც გრძელდება. მაგალითად, აღმოჩენილია მოლიბდენის, დარიშხანის საბადოები, წარმატებით სწარმოებს ნავთის კვლევა. შრომისმოყვარე ქართველი ხალხი თავის მიწა-წყალს აყვავებულ ბაღად აქცევს. ჭაობიან კოლხიდასაც კი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ნებისყოფისა და ძალისათვის მიუწდომელად ითვლებოდა, ამჟამად ეუფლებიან საქართველოს ბოლშევიკები. მოპოვებულია ახალი მიწები უძვირფასესი კულტურებისათვის — ვენახებისა, ციტრუსებისა და სუბტროპიკული მცენარეებისათვის. რესპუბლიკა მთელს ჩვენს ქვეყანას აწვდის საუცხოო ჩაის. შარშან საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა მოგვცეს 8.200 ტონა ჩაი. 1942 წელს ჩაის ფაბრიკები მისცემენ ჩვენს ქვეყანას 20 ათას ტონაზე მეტ ბაიხის ჩაის.

ამხ. ჩარკვიანი ლაპარაკობს სოციალისტური კულტურის მიღწევებზე რესპუბლიკაში. ნიჭიერი ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა შოთა რუსთაველის პოეტური გენია, რევოლუციის მიერ საუკუნოებრივი მონობისაგან განთავისუფლებული, მუშაობს, ჰქმნის, გამოდის დიდი საკაცობრიო კულტურის ყველა ასპარეზზე. თეატრი, ფერწერა, მხატვრული ლიტერატურა დიდ აღმავლობაშია.

მავნებელთა, ჯაშუშთა ბუდეების გადაჭრით განადგურებამ, ნაციონალისტური ბანდის განადგურებამ, რომელიც ცდილობდა შუღლი ჩამოეგდო ქართველ ხალხსა და დიდ რუს ხალხს შორის, განამტკიცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია. რესპუბლიკა მესამე ხუთწლედში ახალ გამარჯვებებს მიაღწევს ყოველ დარგში.

— რევოლუციური მოძრაობის განთიადისას, — აცხადებს თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ჩარკვიანი,— დიდმა სტალინმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოსა და კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ეს ჩვენ—საქართველოს ბოლშევიკებს—გვაკისრებს უდიდეს, საპატიო ვალდებულებას იმისათვის, რათა მთელს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ღირსნი ვიყვნეთ სახელოვანი სტალინური ტრადიციებისა.

ყრილობის ტრიბუნაზეა ამხ. **მიქოიანი.** დელეგატები ფეხზე სდგებიან და ხანგრძლივი ოვაციით გამოხატავენ თავის პატივისცემას ერთგული სტალინელისადმი, საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელისადმი. ყრილობა დიდი ინტერესით ისმენს ანასტას ივანეს-ძის ხანგრძლივ სიტყვას.

ამხ. მიქოიანი განსაზღვრავს XVIII ყრილობის როლს პარტიის ისტორიაში, მის ადგილს პარტიულ ყრილობათა რიგში. წინა ყრილობები სწყვეტდნენ სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხებს. XVIII ყრილობამ შეაჯამა ამ ბრძოლის ძლევამოსილი შედეგები. ამ ყრილობით მთავრდება ისტორიის ერთი თავი და იწყება ახალი თავი. XVIII ყრილობა მოასწავებს სოციალიზმიდან კომუნიზმში ჩვენი ქვეყნის გადასვლას.

ამხ. მიქოიანი ლაპარაკობს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაზე, რომელიც ამხანაგმა სტალინმა გაუკეთა ყრილობას. ეს მარტო ანგარიში როდია პარტიის მიერ ჩატარებული გრანდიოზული მუშაობის შესახებ. ეს იმავდროულად მომავლის განჭვრეტაა, ეს პარტიისა და ხალხის დიად სამუშაოთა პროგრამაც არის მრავალი წლის მანძილზე.

ამხ. მიქოიანი დაწვრილებით ეხება სახალხო მეურნეობის, საქონელბრუნვისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საკითხებს.

ყრილობა მქუხარე ტაშით ჰფარავს ამხ. მიქოიანის უკანასკნელ სიტყვებს, მიძღვნილს სტალინისადმი —სოციალიზმის ყველა გამარჯვების შემოქმედისა და ორგანიზატორისადმი, მთის არწივისადმი, რომელსაც პარტია, მთელი ხალხი ახალი გზებით მიჰყავს წინ კომუნიზმისაკენ.

15-წუთიანი შესვენების შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. **ანდრიანოვს** (სვერდლოვსკის ოლქი). დაახასიათა რა ურალის მრეწველობა, მისი ზრდა ორი ხუთწლედის განმავლობაში, ამხ. ანდრიანოვმა წამოაყენა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. სვერდლოვსკის ოლქის მრეწველობის მოთხოვნილება, რომ დაკმაყოფილდეს, საჭიროა 7 მილიონი საწვავი მასალა (გამოანგარიშებულია პირობითად), ამჟამად კი ოლქში იღებენ მხოლოდ 1,5 მილიონ ტონას. ურალზე არის ქვანახშირის მარაგი, რასაც 3,7 მილიარდ ტონამდე ანგარიშობენ. საჭიროა აქ ქვანახშირის ამოღების გადიდება. საჭიროა საერთოდ გაცილებით უფრო მეტად იქნეს გამოყენებული ურალის სიმდიდრე.

უმდიდრესი საბჭოთა პრიმორიეს უზარმაზარ შესაძლებლობათა შესახებ ლაპარაკობს ამხ. **პეგოვი** (პრიმორიეს მხარე). აქ არის სასარგებლო მადნეულის უდიდესი მარაგი: ერთ მილიარდ ტონაზე მეტი ქვანახშირი და მურა ნახშირი, მილიონობით ტონა რკინის მადანი, კალა, ტყვია, თუთია, სურმა, მოლიბდენი და სხვ. საბჭოთა სანაპირო პოსიეტიდან ყინულოვანი ოკეანის ნაპირებამდე მდიდარია თევზით. პრიმორიეს ტყეებში არიან ბეწვიანი ნადირის უძვირფასესი ჯიშები. ამ მხარეში უსურიისკის ოლქი ხორბლის, ბრინჯისა და სოიის ბეღელია. ბოლშევიკები მხარის ამ სიმდიდრეთ ხალხის სამსახურში აყენებენ.—მაგრამ, — შენიშნავს ამხ. პეგოვი, — ეს მხოლოდ იმ უდიდესი მუშაობის დასაწყისია, რომელიც ვალდებული ვართ გავშალოთ პრიმორიეში იმისათვის, რათა მოვახდინოთ ამ მხარის საწარმოო ძალთა სრული მობილიზაცია.

პრიმორიეს დასახლება ამ მობილიზაციის წარმატების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. პრიმორიეში ამჟამად ცხოვრობენ და მუშაობენ შესანიშნავი ადამიანები, მგზნებარე პატრიოტები. მაგრამ მათი რაოდენობა მხარეში მაინც არ არის საკმაო, მხარე ადამიანთა მწვავე ნაკლებობას განიცდის. უნდა დავასახლოთ პრიმორიე. იქ ცხოვრებისა და მუშაობის მსურველი ბევრია. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ასობით წერილებს იღებენ ქვეყნის ყოველი კუთხიდან მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენტებისაგან. ისინი თხოულობენ დახმარებას პრიმორიეში გადასასვლელად. საბჭოთა პატრიოტების ამ მისწრაფებას მხარი უნდა დავუჭიროთ, ვრცელი და მდიდარი მხარის დასახლების საქმე ფართო ლიანდაგზე უნდა დავაყენოთ.

სტალინგრადის ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი ამხ. ჩუიანოვის გამოსვლა. მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა არმიის მეორე რანგის სარდალმა ამხ. **გ. მ. შტერნმა.**

— ხასანის მებრძოლები — 1-ლი ცალკე წითელდროშოვანი არმიის წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები საბრძოლო წითელარმიულ ბოლშევიკურ სალამს უძღვნიან პარტიის XVIII ყრილობას. წითელარმიული ბოლშევიკური სალამი იმ ადამიანს, რომლის საყვარელი სახელით, როგორც ჩვენი საქმის დროშით, მათ იერიში მიიტანეს და დაამარცხეს გათავხედებული აგრესორების ჯარი. სალამი ამხანაგ სტალინს!

ამ მისალმების საპასუხოდ ყრილობის დელეგატები ფეხზე სდგებიან, და მქუხარე ოვაციას უმართავენ ხასანის გმირებს. დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს სტალინს — გამარჯვებათა სულისჩამდგმელს!“. „როცა სტალინი ჩვენთან არის, ვერავინ დაგვამარცხებს“.

ამხ. შტერნის გამოსვლა იყო ნათელი ილუსტრაცია იმ ვრცელი სიტყვისა ქვეყნის თავდაცვის შესახებ, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შესახებ, რომელიც ყრილობის დილის სხდომაზე წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის პირველმა მარშალმა ამხანაგმა **ვოროშილოვმა.**

ეროვნული

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

ამხანაგ ა. ა. ანდრეევის სიტყვა

ამხანაგებო, მთელი წინასაყრილობო ვითარება—ის, თუ როგორ მიმდინარეობდა პარტიულ ორგანიზაციებში ყრილობის საკითხების განხილვა და ყრილობაზე გამოსაგზავნი დელეგატების არჩევა—გვიჩვენებს, რომ მთელი პარტია თავის XVIII ყრილობას ხვდებოდა თავისი მუშაობის გამო ღრმა მორალური კმაყოფილების გრძნობით, თავისი უდიდესი ძალის შეგნებით და ამხანაგ სტალინისადმი ღრმა მადლობის გრძნობით იმისათვის, რომ მან ამ საანგარიშო პერიოდში პარტია ყველა სიძნელის გადალახვით მიიყვანა ახალ გამარჯვებამდე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ის აღმავლობა, რომელიც პარტიის ყრილობასთან დაკავშირებით ხდება ჩვენს ქვეყანაში, ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში მოწმობს აგრეთვე, რომ ღრმა მორალური კმაყოფილების ამ გრძნობას განიცდის არა მარტო პარტია არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხი.

და როგორ არ უნდა ვიყოთ, ამხანაგებო, მორალურად დაკმაყოფილებული პარტიის მუშაობის შედეგებით, როცა საანგარიშო პერიოდი ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ცხოვრებაში ესოდენ მდიდარი და აღსავსე იყო დიდი მუშაობით და ახალი გამარჯვებებით ჩვენი პარტიის პოლიტიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული მოღვაწეობის ყოველ დარგში.

ავიღოთ მხოლოდ რამდენიმე შედეგი, რომელიც შეაჯამა ამხანაგმა სტალინმა. მაშინ, როცა კაპიტალიზმი განაგრძობს ფართხალს, ერთი ადგილის ტკეპნას, არ ძალუძს მიაღწიოს წარმოების 1929 წლის დონესაც კი, სსრ კავშირმა ამავე ხნის განმავლობაში დიდად წაიწია წინ.

წარმოება 1929 წელთან შედარებით ჩვენში თითქმის ერთიხუთად გაიზარდა. პარტიის ხელმძღვანელობით ამ ხნის განმავლობაში ვადამდე შესრულებულ იქნა მეორე ხუთწლედი. სოციალისტურმა წყობილებამ გაიმარჯვა და საბოლოოდ დამკვიდრდა. დამთავრდა ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაცია, უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა წინ უკლასო საზოგადოებისაკენ იმით, რომ მიჯნა მუშათა და გლეხთა კლასებს შორის სულ უფრო და უფრო ჰქრება კოლექტივიზაციის გამარჯვებისა და სოციალიზმის ზრდის საფუძველზე. ამ ხნის განმავლობაში მოხდა, როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, მთელი კულტურული რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში.

ამავე პერიოდში ჩვენს ხალხს საშუალება ჰქონდა მიეღო დიადი სტალინური კონსტიტუცია, ხოლო ბოლშევიკების პარტიას—კიდევ და კიდევ ერთხელ მიეღო საყოველთაო-სახალხო ნდობა.

საანგარიშო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა ნამდვილი საყოველთაო-სახალხო სტახანოვური მოძრაობა, რომელიც მეურნეობისა და შრომის ყველა დარგს მოედო, მოძრაობა, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა და ახდენს წარმოებასა და შრომის ნაყოფიერებაში.

როგორ არ უნდა ვიყოთ, ამხანაგებო, დაკმაყოფილებულნი, როცა პარტიამ მთელი ხალხის დახმარებით და მონაწილეობით შესძლო გაენადგურებინა, მოესპო ტროცკისტ-ბუხარინელ და სხვა შეთქმულთა, მავნებელთა, მკვლელთა, ჯაშუშთა კადრები, რომელნიც უცხოეთის დაზვერვათა ხელმძღვანელობით ამზადებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას და ცდილობდნენ კვლავ დაედგათ მონობის უღელი სსრ კავშირის ხალხთათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ დივერსანტ-ინტერვენტთა ამ კადრების განადგურებამ ჩვენს ზურგში, უდავოდ, არია ჩვენი გარეშე მტრების მთელი ანგარიში და გაუძნელა მათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების შესაძლებლობა.

იმ დროს, როცა გადაუჭრელ წინააღმდეგობებში გახლართული კაპიტალიზმი უკვე ჩაება მეორე იმპერიალისტურ ომში, ჩვენს მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ მტკიცე რწმენით უცქირონ თავისი სოციალისტური სამშობლოს ბედიღბალს, იმიტომ რომ პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის თავდაცვა განვლილ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა, ხოლო იმ მოუსვენარ მეზობლებს, რომლებმაც სცადეს საბჭოთა ტერიტორიის ხელყოფა, საფუძვლიანად ჩაეცხეთ კბილებში და მათ საკუთარ ტყავზე გამოსცადეს სსრ კავშირის თავდაცვის ძალა, ჩვენი წითელი არმიის ძალა **(ტაში).**

შეუძლებელია ღრმა კმაყოფილების გრძნობა არ გამოიწვიოს აგრეთვე იმ ორგანიზაციულმა მუშაობამ, რომელიც საანგარიშო პერიოდში ჩაატარა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა და რომლის შესახებ ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი.

ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, მეურნეობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობისათვის წამოყენებულ იქნენ მილიონობით ადამიანები ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან და დაწესებულებებიდან. ჩვენს ქვეყანას, სახელმწიფოს, კულტურას და მართვა-გამგეობას ასიათასობით ახალი სპეციალისტი შეემატა.

ამ ხუთი წლის განმავლობაში უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა გამოუშვეს 1.287.000 ახალი სპეციალისტი, გარდა სამხედრო სპეციალისტებისა. მარტო გასული წლის მანძილზე უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა გამოუშვეს 294.700 ახალი სპეციალისტი.

პარტიის ხელმძღვანელობით საანგარიშო პერიოდში მოეწყო 3.450 ახალი მტს-ი, 660-ზე მეტი მანქანა-ტრაქტორების სახელოსნო, 939 ახალი უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი. პროფკავშირთა წევრების რაოდენობა ამ პერიოდში გაიზარდა 4.700 ათასი კაცით, კომკავშირის წევრთა რაოდენობა დაახლოებით 3 მილიონი კაცით. ამ ხნის განმავლობაში მომზადებულ და გადამზადებულ იქნა 1.500 ათასზე მეტი ახალი ტრაქტორისტი და კომბაინერი. გადამზადებულ იქნა კოლმეურნეობათა ასიათასობით თავმჯდომარენი და საკოლმეურნეო ბრიგადირები. ჩამოყალიბდა 2.255 ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

გაითვალისწინა რა მუშაობის სისუსტე ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში, ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც იცით, ამ მიმართულებით შეასრულა მეტად სერიოზული მუშაობა, განსაკუთრებით პირადად ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ მას არცერთ დღეს მოცალეობა არა აქვს, უზრუნველჰყო ჩვენი პარტია ბოლშევიკური პარტიის ნამდვილი ისტორიის შექმნით, რის მეოხებითაც ჩვენი პარტია, ჩვენი კადრები მოკლე პერიოდში იდეურად რამდენიმე საფეხურით ამაღლდნენ. ხოლო ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პროპაგანდის შესახებ, შემუშავებული ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით და პირადი მონაწილეობით, წარმოადგენს პრაქტიკულ საბრძოლო პროგრამას, რომელიც ახლებურად აყენებს ჩვენი კადრების პოლიტიკური აღზრდის ორგანიზაციის საქმეს.

ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი სიცხადით ახლებურად დააყენა საწარმოებში შრომის დისციპლინის ორგანიზაციისა და ოსტატის როლის საკითხები, რასაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი მუშებმა და ტექნიკურმა პერსონალმა ფაბრიკებსა და ქარხნებში და რაც უდავოდ უკვე სერიოზულ შედეგებს იძლევა წარმოებაში საქმის მდგომარეობისა და პროდუქციის გამოშვების მხრივ.

პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ განიხილეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ორგანიზაციული საკითხები. თავის ორგანიზაციულ მუშაობაში პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს შინაპარტიულ ცხოვრებას. როგორც კი საგრძნობი გახდა შინაპარტიული ცხოვრების ნაკლოვანებანი დემოკრატიზმის განხორციელების საქმეში, ამხანაგმა სტალინმა და ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი სიმკვეთრით დასვეს და გაატარეს ამ უდიდეს ნაკლოვანებათა გამოსწორება, ხოლო პარტიულმა ორგანიზაციებმა, უდავოდ, უკვე სერიოზულ შედეგებს მიაღწიეს პარტიული დემოკრატიის, არჩევითობისა და ანგარიშგების ნორმების აღდგენაში.

გამოასწორა რა შინაპარტიული დემოკრატიის გატარების ეს ნაკლოვანებანი ორგანიზაციულ მუშაობაში, პარტია შეუდგა ასეთივე, თუ არა უფრო სერიოზული, ნაკლოვანებების გამოსწორებას პროფკავშირებსა და კომკავშირში,—მუშაობის შედეგებზე ამ მხრივ, ალბათ, თვით პროფკავშირებისა და კომკავშირის ხელმძღვანელნი იტყვიან.

პარტიამ ამ პერიოდის განმავლობაში მოაწესრიგა თავისი პარტიული მეურნეობა და პარტიის წევრთა აღრიცხვა. საკმარისია ითქვას, რომ ახლა ცენტრალურ კომიტეტს ყოველ მომენტში შეუძლია ჰქონდეს წარმოდგენა პარტიის თვითეული წევრის შესახებ. ვფიქრობ უდავოა ის, რომ პარტიული ორგანიზაციების მიერ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარებული უდიდესი ორგანიზაციული მუშაობის შედეგად გაძლიერდა ჩვენი ორგანიზაციების კავშირი მასებთან, ხოლო ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, საოლქო და სამხარეო კომიტეტებისა—ადგილებთან.

მაგრამ პარტიის ორგანიზაციულ მუშაობის ყველაზე უმთავრეს და შესანიშნავ შედეგს უთუოდ წარმოადგენს მრავალრიცხოვანი კადრების აღზრდა და დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში.

ქვევიდან, მოწინავე, მზარდი ადამიანებისა და სტახანოველების რიგებიდან წამოყენებული ასეთი ახალი ახალგაზრდა კადრები და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულები ჩვენ ასიათასობით მოგვეპოვება.

მე მინდა გამოვაქვეყნო ზოგიერთი ძირითადი ცნობა ჩვენი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

მაგალითად, საოლქო, სამხარეო და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა შორის ჩვენ გვყავს უმაღლესი განათლებით — 28,6%, ხოლო დამთავრებული საშუალო და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით—30%.

საოლქო, სამხარეო და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა შემადგენლობაში 54% წამოყენებულია ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ძირეული სამუშაოდან და პირველადი ორგანიზაციებიდან, ხოლო 39 კაცი დაწინაურებულია სამდივნო სამუშაოზე უშუალოდ სწავლის დამთავრების შემდეგ.

პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტებისა და საოკრუგო კომიტეტების მდივანთა შორის უმაღლესი განათლება აქვს 534 კაცს, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება და საშუალო განათლება — 2.581 კაცს. დაწინაურებულია ძირეული სამუშაოდან და პირველადს ორგანიზაციებში მუშაობიდან — 7.250 კაცი და უშუალოდ სწავლებიდან—185 კაცი.

პირველადი პარტიული კომიტეტების მდივნებისა და პარტორგანიზატორების შემადგენლობაში უმაღლესი განათლებით არის 5.191 კაცი, საშუალო განათლებით—18.677 კაცი.

ამნაირად, თქვენ აქედან ხედავთ მნიშვნელოვან გადაჯგუფებას ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული კადრების შემადგენლობაში უფრო მაღალი განათლების დონის მიმართულებით და პირველადი ორგანიზაციების ძირეული მუშაობის უშუალო გამოცდილების გადმოტანას ჩვენს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში.

არანაკლებ სერიოზული ხარისხობრივი ცვლილებები მოხდა საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობაშიც. მაგალითად, სსრ კავშირისა და რსფსრ-ის სახალხო კომისართა შორის ჩვენ გვყავს უმაღლესი განათლებით 53%, სახალხო კომისართა მოადგილეებს შორის—68%; მთავარსამმართველოთა და სახალხო კომისარიატების გაერთიანებათა უფროსებს შორის — 60%; საწარმოთა დირექტორებს შორის—უმაღლესი განათლებით გვყავს—26,7%. ახლა ჩვენში სტახანოველთა საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას უკავია ხელმძღვანელი პოსტები სახალხო კომისარიატებში, მთავარსამმართველოებში, გზებზე და სამრეწველო საწარმოთა დირექტორების სახით.

კადრების პოლიტიკურად და საქმიანი მხრით გაკოტრებული ნაწილის შეცვლითა და ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალ ადამიანთა დაწინაურებით—ჩვენმა პარტიამ დიდი საქმე გააკეთა, მან გააძლიერა თავისი რიგები. მოხდა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაჯანსაღება. ჩვენს პარტიულ სახლში უფრო მეტი სიწმინდე და სისუფთავე დამყარდა. მასებთან და ადგილებთან კავშირი უფრო განმტკიცდა. ახალმა ადამიანებმა პრაქტიკული მუშაობის უშუალო გამოცდილება მოიტანეს ქვევიდან. მლიქვნელობა და მორალური გახრწნის ელემენტები, რასაც წარსულში ხელს უწყობდნენ დამპალი პოლიტიკური სტილის ადამიანები და რაც მათს მორალურ დაცემას განსაზღვრავდა, ახლა მნიშვნელოვნად აღმოიფხვრა.

დასასრული შემდეგ ნომერში

მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში*

მომხსენებელი ამხ. დ. მანუილსკი

ხალხები, რომლებმაც აგრესია განიცადეს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ აგრესორებს. იწყება ხანა ესპანელი და ჩინელი ხალხების გმირული ბრძოლისა შემოსეულ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ყველაზე დიდი მოვლენაა ხალხთა ცხოვრებაში დიდი სოციალისტური რევოლუციისა და მის გრანდიოზულ გამარჯვებათა შემდეგ, ევროპის 1918-1923 წლების რევოლუციურ მოძრაობათა შემდეგ. ამ ბრძოლის მნიშვნელობა უდიდესია. იგი ჰბორკავს აგრესორების ძალებს, აფერხებს მეორე იმპერიალისტური ომის შემდგომ გაფართოებას, ამხნევებს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლას თავისი ექსპლუატატორების წინააღმდეგ, ეხმარება ანტიფაშისტურ მოძრაობას ყველა ქვეყანაში.

ამზადებდნენ რა გენერლების ამბოხებას ესპანეთში, გერმანიისა და იტალიის ფაშისტებს ადვილი და სწრაფი გამარჯვების იმედი ჰქონდათ. ისინი ჰფიქრობდნენ, რომ ესპანეთში შეიძლება განმეორებულ იქნას რომზე 1922 წლის ოპერეტული ლაშქრობა. ისინი ჰფიქრობდნენ, რომ ეს იქნება მორიგი სამხედრო პუტჩი, როგორიც ცოტა როდი ყოფილა ესპანეთის ისტორიაში, რაც ერთ ღამეს დამთავრდება იმ გენერლის გამარჯვებით, რომელიც ფაშისტური დიქტატორის კვარცხლბეკს ეპოტინება. თავისი გმირული ბრძოლით ესპანელმა ხალხმა გვიჩვენა, რომ გადის ის დრო, როდესაც ფაშიზმი იოლად აღწევდა გამარჯვებებს. ესპანეთში ინტერვენციაზე გერმანიისა და იტალიის ფაშიზმმა დახარჯა დაახლოებით ერთი მილიარდი ამერიკული დოლარი, დიდძალი სამხედრო მასალა, მან დაჰკარგა ადამიანთა დიდძალი რეზერვები და თავისი არმიების გაწვრთნილი საკადრო შემადგენლობა.

თითქმის სამი წელია, რაც ნაკლებადშეიარაღებული ესპანელი ხალხი, რომელიც ეგრეთწოდებულმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა გასცეს, უთანასწორო გმირულ ბრძოლას აწარმოებს თავისი დამოუკიდებლობისათვის, „მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის საქმისათვის". **(ტაში).** ამ ბრძოლას იგი აწარმოებდა ორი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს, ფაშისტური იტალიისა და გერმანიის წინააღმდეგ და მსოფლიო რეაქციის ფარული ინტერვენციის წინააღმდეგ, რეაქციისა, რომელიც ახორციელებდა რესპუბლიკური ესპანეთის ბლოკადას ევროპაში — „ჩაურევლობის პოლიტიკის" ლოზუნგით და ამერიკაში — „იზოლაციონიზმის" პოლიტიკის თვალთმაქცური ლოზუნგით.

ამ დროის განმავლობაში რესპუბლიკას აუტანელი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. რესპუბლიკას არ ჰყავდა არმია. მტრის მიერ გაჩაღებული ომის ცეცხლში შეჰქმნა მან სახალხო არმია, რომელმაც ესპანელი ხალხის ნაციონალურ - რევოლუციური ომის ისტორიაში ჩასწერა ისეთი ფურცლები, როგორიცაა ბრძოლები მადრიდთან, გვადალახარათან, ხარამთან, ებროზე. რესპუბლიკას არ ჰყავდა მეთაურთა კადრები. ბრძოლის პროცესში გამოიჭედნენ ათასობით რკინისებური მეთაურები და სახელოვანი პოლიტკომისრები; ხალხის წიაღიდან დაწინაურდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც მოდესტო და ლისტერი, რომელთა სახელებსაც სიყვარულითა და პატივისცემით წარმოსთქვამს ყოველი პატიოსანი ანტიფაშისტი და სიძულვილით—ესპანელი ხალხის ყველა მტერი. რესპუბლიკას არ ჰქონდა სამხედრო მრეწველობა. იგი მან გზადაგზა აშენებდა. მოხუცებმა და მოზარდებმა, ესპანელმა დედებმა და ქალიშვილებმა მთელი თავისი სული ჩააქსოვეს ამ საქმეში. რესპუბლიკას არ ჰქონდა ფორტიფიკაციები, ესპანეთის ხალხმა წერაქვი აიღო ხელში და ამაგრებდა რესპუბლიკური არმიების ფრონტს.

როგორ მოხდა სასწაული, რომ ესპანეთის რესპუბლიკამ, შედარებით მცირე ნახევარკუნძულზე, შესძლო გამაგრებულიყო ამდენ ხანს ბლოკადის პირობებში და მოწინააღმდეგის უდიდესი უპირატესობისას შეიარაღების მხრივ? ეს სასწაული შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ დამყარებული იყო მუშათა კლასის მოქმედებათა ერთიანობა, რომ გამოჭედილი იყო მუშათა კლასის მჭიდრო კავშირი გლეხობასთან, იმიტომ, რომ ესპანეთის ხალხის მასები გაერთიანებული იყვნენ ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის მიერ, იმიტომ, რომ ეს ფრონტი შედუღაბებული იყო დიდ პოლიტიკურ ძალად გადაქცეული კომუნისტური პარტიის მიერ, იმიტომ, რომ ესპანეთის ხალხი სარგებლობდა მშრომელთა საერთაშორისო მხარდაჭერით და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის ხალხთა და ყველა მშრომელის მასის — ამხანაგ სტალინის პოლიტიკური მხარდაჭერით **(მქუხარე ტაში)**

თითქმის სამი წლის განმავლობაში ესპანეთის ხალხის ბრძოლა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იდგა. იგი იწვევდა ყველგან მილიონობით მშრომელ ხალხთა აღტაცებას და მსოფლიო რეაქციის სასტიკ გაფთრებას. თავისი მაგალითით ესპანეთის ხალხი მოუწოდებდა ყველა სხვა ხალხს წინააღმდეგობა გაეწიათ ომის ფაშისტ დამწყობთათვის. ხელს უწყობდა მშვიდობიანობისა და თავისუფლების ძალთა დარაზმვას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. რესპუბლიკური ესპანეთის გარშემო გაჩაღდა სოლიდარობის ფართო მასობრივი მოძრაობა, რომელმაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ იმპერიალისტური ინტერვენციის დროიდან ეს არის მშრომელთა სოლიდარობის ყველაზე მძლავრი მოძრაობა. იგი სხვადასხვა ფორმებს იღებს, დაწყებული ფულის შეგროვებით, მასობრივი მიტინგებით და დემონსტრაციებით, ესპანეთის დაცვის კომიტეტების შექმნით თვით პოლიტიკურ გაფიცვებამდე და მოხალისეთა რაზმების შექმნამდე. თავისი სიდიდით უმაგალითო დემონსტრაციები იწყობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში; შორეულ ინდოეთში ტარდება რესპუბლიკურ ესპანეთთან სოლიდარობის საყოველთაო-სახალხო დღე.

ესპანეთის ხალხთან სოლიდარობის მოძრაობა იჭრება ფაშისტურ ქვეყნებში. იტალიაში ანტიფაშისტები აწარმოებენ ფულის საიდუმლოდ შეგროვებას, სცემენ ათასობით ფურცლებს, ღამღამობით ანტიფაშისტურ წარწერებს უკეთებენ სახლებს; ხშირდება საბოტაჟის აქტების შემთხვევები სამხედრო ქარხნებში, ჯარისკაცთა მიერ უარის თქმა საბრძოლველად წასვლაზე რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ.

ყველა ქვეყანაში ხდება სოლიდარობის ამ მოძრაობის გადაზრდა მშრომელთა, ბრძოლად ფაშიზმის წინააღმდეგ მათსავე ქვეყნებში, ანტიფაშისტური ძალების საერთაშორისო ბრძოლად გადაზრდა მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ. რესპუბლიკური ესპანეთის დახმარება— ეს პლატფორმაა იმ საერთაშორისო ერთიანი მუშათა ფრონტისათვის, რომელიც სტიქიურად იწყობა.

დედამიწის მეორე მხარეს უზარმაზარი ქვეყნის მსოფლიოში უდიდესი 450-მილიონიანი ხალხი, რომელსაც მუდამ მიწასთან ასწორებდნენ, სცემდნენ, სძარცვავდნენ და ამცირებდნენ იმპერიალისტური ყაჩაღები, აღსდგა თავისი ქვეყნისა და თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობის დასაცავად. ჩინეთის ომი — ეს ნახევრადკოლონიური ქვეყნის ყველაზე დიდი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომია, რომელსაც კი ისტორია იცნობს. ამ ომს მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მას აწარმოებს ჩინეთის ხალხი იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც მთელი მსოფლიო რეაქციის ჟანდარმის როლს ასრულებს შორეულ აღმოსავლეთში. ამ ბრძოლის პროცესში ჩინეთის ხალხმა ბოლო მოუღო შინაომს, რაც ქვეყანას აჩანაგებდა, და იგი სჭედს საერთო ნაციონალურ ერთიანობას, რისიც მუდამ ყველაზე მეტად ეშინოდათ იმპერიალისტებს. ჩინეთის ომი იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო მეტად იღებს საყოველთაო-სახალხო ომის ხასიათს. იაპონიის სამხედრო-ტექნიკური უპირატესობის მიუხედავად, ჩინეთის ხალხი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს მტერს, ურტყამს მას ზურგიდან, გარს ერტყმის მას პარტიზანული რაზმებით, ანადგურებს იაპონიის საკომუნიკაციო ხაზებს, **ხანგრძლივი ომით** ჰფიტავს და ასუსტებს მტრის ძალებს.

ორნახევარ მილიარდ ამერიკულ დოლარად დაუჯდა იაპონიას თავისი ომი ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ იაპონიის ფაშისტური ხროვა ჩინეთის ბატონ-პატრონი ვერ გახდა. იაპონიის ჯარებს უჭირავთ რკინიგზების ხაზი და ქალაქთა ცენტრები, მაგრამ ქვეყნის უდიდეს ტერიტორიას, ამ ტერიტორიაზე მოსახლე ჩინელი ხალხით, კვლავ ჩინეთის ნაციონალური მთავრობა განაგებს. იაპონელ ოკუპანტებთა ზურგში განაგებს ჩინეთის ადმინისტრაცია, მოქმედებენ ჩინეთის კანონები, ტარდება მობილიზაცია ჩინეთის ნაციონალურ არმიაში. ყველას პირზე აკერია ნაციონალური ომის ლოზუნგი: „თუ ბრძოლაში მამა მოკვდა, მის ადგილზე დადგება მისი შვილი, ძმა შესცვლის დაღუპულ ძმას, ცოლი შესცვლის მოკლულ ქმარს".

ჩინელი ხალხის შეუპოვარი წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო არევოლუციურებს იაპონიის მშრომელ მასებს, რომელნიც იტანჯებიან უუფლებობის, საშინელი ექსპლუატაციის უღელქვეშ, აუტანელ გადასახადთა სიმძიმის ქვეშ. იაპონიის სამხედრო ხროვის სიძნელენი აძლიერებენ ოპოზიციურ განწყობილებათა ზრდას ხალხის ყველა ფენაში და ამწვავებენ წინააღმდეგობებს გაბატონებული კლასების ბანაკშიც კი. ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა, იზრდება იაპონიის მშრომელი მასების უკმაყოფილება გაჭიანურებული ომით, განუწყვეტელი ბრძოლებით გაწამებულნი, იმ ხალხის პირისპირ დაყენებულნი, რომელიც თავის ქვეყანას იცავს, იაპონელი ჯარისკაცები თანდათან ჰკარგავენ მოთმინებას. სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება მღელვარების ნიშნები იაპონელ ინტერვენტთა არმიაში. თავისი გმირული ბრძოლით ჩინელი ხალხი ხრწნის არა მარტო იაპონიის არმიას და იაპონიის ზურგს, არამედ მოძრაობაში მოჰყავს აზიის ხალხთა მასებიც და აღვიძებს ყველა კოლონიურ ხალხს. მის მიერ ანტიიაპონური ნაციონალური ფრონტის შექმნის მაგალითით ის ჩაგრულ კოლონიურ ხალხებს ხელთ აძლევს მათი ნაციონალური განთავისუფლების მძლავრ იარაღს, უზარმაზარი ქვეყნის გამოცდილებით, მილიონების გამოცდილებით შემოწმებულ იარაღს.

„რა თქმა უნდა, ჩინელი ხალხისა და მისი არმიის გმირული ბრძოლა იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ, უდიდესი ნაციონალური აღტყინება ჩინეთში, ადამიანთა და ტერიტორიის კოლოსალური რეზერვები ჩინეთში, ბოლოს, ჩინეთის ნაციონალური მთავრობის მტკიცე მზადყოფნა—ბოლომდე, ჩინეთის საზღვრებიდან დამპყრობთა სრულ განდევნამდე მიიყვანოს ჩინეთის განმათავისუფლებელი ბრძოლა, — ყოველივე ეს უეჭველად მოწმობს, რომ იაპონელ იმპერიალისტებს ჩინეთში არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ მომავალი". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 405).

მაგრამ რაც უფრო ჭიანურდებოდა ინტერვენცია ესპანეთში და ომი ჩინეთში, მით უფრო მოუსვენარი ხდებოდა მსოფლიო რეაქცია. ფაშიზმისა და ანტიფაშისტური ძალების შეტაკება ჰქმნიდა იმის საფრთხეს, რომ იგი ფაშისტი აგრესორების სასარგებლოდ არ დამთავრდებოდა. იზრდებოდა მოსახლეობის უკმაყოფილება ფაშისტურ მთავრობათა სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ. მასებში სულ უფრო და უფრო ხშირად, სულ უფრო და უფრო აშკარად გაისმის ხმები: „საით მივყევართ მათ ჩვენ?". სულ უფრო და უფრო აშკარავდება ფაშიზმის შინაგანი იზოლაცია და მისი სოციალური ბაზის დავიწროება. გერმანიაში იზრდება მუშების აღშფოთება მათი საშინელი მატერიალური მდგომარეობით, 14 საათის სამუშაო დღის შემოღებით, მათი უუფლებობით, მათი, როგორც ყმების, მიმაგრებით ფაბრიკაზე, იზრდება გლეხთა უკმაყოფილება ფაშისტ ხელისუფალთა თავხედური ჩარევით მათს მეურნეობაში, მათი გაძარცვით დიდი და პატარა „ფიურერების" მიერ; უკმაყოფილოა წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც ფაშისტი მესვეურები განზრახ ერეკებიან გაჩანაგების უფსკრულისაკენ, რათა იაფი მუშახელი მიიღონ, მოძრაობაში მოდიან კათოლიკური მასები, რომლებსაც აბუჩად იგდებს ფაშიზმი, იზრდება ოპოზიცია რეიხსვერის რიგებში, რომელსაც ეშინია დამარცხებისა ომში, რასაც ფაშიზმი ამზადებს. იზრდება გერმანელი ხალხის აღშფოთება კორუმპირებული ფაშისტური ბიუროკრატიის მექრთამეობის, მტაცებლობის, თვითნებობის წინააღმდეგ. გესტაპო უკმაყოფილების ამ ტალღას უპასუხებს ახალი მხეცური რეპრესიებით, ეშაფოტებით, ნაჯახით, ებრაელთა დარბევით, რაც საშუალო საუკუნეთა შავბნელ ხანებს აცოცხლებს. გესტაპოს უფროსი ჰიმლერი მოითხოვს მცველი რაზმების გაძლიერებას, რათა გააჩაღოს ბრძოლა „საომარი მოქმედების საშინაო ფრონტზე".

ცდილობენ რა დაეხმარონ გერმანიის ფაშიზმს—თავი დააღწიონ შინაგან სიძნელეებს, განამტკიცონ მისი პოზიციები ანტიფაშისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ინგლისის რეაქციონერები უშვებენ მას ავსტრიაში, თავაზიანად უღებენ მას ჩეხოსლოვაკიის კარს. ამზადებენ რა მიუნხენს, ისინი საფრანგეთის რეაქციონერებთან ერთად ზეგავლენას ახდენენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობაზე და მოითხოვენ, რათა მან კაპიტულაცია მოახდინოს და იმოქმედოს „ავსტრიულად". ჩეხ ხალხს, მის არმიას სურთ იმოქმედონ ესპანურად. ნაწილობრივი მობილიზაცია საფრანგეთსა და ინგლისში, რაც ჩატარებულ იქნა მასების მოტყუების მიზნით, იქცევა ანტიფაშისტურ განწყობილებათა დემონსტრაციად, მაშინ როდესაც გერმანიაში მობილიზაცია ამჟღავნებს იმას, რომ ხალხის უაღრესად ფართო ფენები აღშფოთებული არიან ფაშისტი მმართველების, როგორც ომის ნამდვილი გამჩაღებლების წინააღმდეგ.

მიუნხენის გარიგება, რომელმაც გერმანიის ფაშიზმს მსხვერპლად შესწირა ჩეხოსლოვაკია, იყო რეაქციის შეთქმულება საერთაშორისო მუშათა კლასის წინააღმდეგ, ყველა ქვეყნის ანტიფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ, მშვიდობიანობისა და ყველა ხალხთა თავისუფლების წინააღმდეგ. ის იყო შეთქმულება ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ინტერვენტების მიერ კატალონიის დაპყრობა მიუნხენის პირდაპირი შედეგია. ამ დაპყრობას ამზადებდნენ არა მარტო რომსა და ბერლინში, არამედ ლონდონსა და პარიზშიც. მსოფლიოში ყველამ იცოდა, რომ, რაკი პრაღის კაპიტულაციას მიაღწევდნენ, მიუნხენელები თავს დაატყდებოდნენ რესპუბლიკურ ესპანეთს. მიუნხენმა სავსებით და მთლიანად გაუხსნა ხელფეხი გერმანიისა და იტალიის ფაშიზმს ესპანეთში ინტერვენციის საქმეში.

იტალიელ-გერმანელი ინტერვენტების მიერ კატალონიის ხელში ჩაგდების შემდეგ ინგლის-საფრანგეთის რეაქციონერებმა ნიღაბი აიხადეს. ფარული ინტერვენციიდან ისინი გადავიდნენ აშკარა ინტერვენციაზე. ასრულებდნენ რა ბერლინისა და რომის შეკვეთას, ისინი დაეშურნენ ეცნოთ ფრანკო. მათ მოაწყეს გამცემლური ოპერაცია კუნძულ მინორკის სამხედრო-საზღვაო ბაზის გადაცემისა იტალიელ-გერმანელი ინტერვენტებისათვის. საფრანგეთის რეაქციონერებმა, რომელნიც სისტემატურად ამბობდნენ უარს იმაზე, რომ ესპანეთის კანონიერი რესპუბლიკური მთავრობისათვის გადაეცათ ოქროს მარაგი, რაც საფრანგეთში ინახება, მოწიწებით მიართვეს ეს მარაგი მსოფლიო რეაქციის დამქაშ ფრანკოს. ინგლისელმა ბანკირებმა ინგლისის კონსერვატიული წრეების თანხმობით განაცხადეს, რომ მზად არიან მისცენ ესპანელ მეამბოხეებს სესხი, რათა დაჰფარონ გერმანია-იტალიის ინტერვენციის ხარჯები და იხსნან ესპანელი ფაშისტები მათი შინარეჟიმის კატასტროფისაგან. მეტიც, ინგლის-საფრანგეთის რეაქციამ ესპანეთის შიგნით არსებული გამცემლური ელემენტების დახმარებით მოაწყო კონტრრევოლუციური გადატრიალება მადრიდსა და კარტახენაში, რათა ესპანელი ხალხის ბრძოლის უმძიმეს მომენტში ჩაშალოს მისი წინააღმდეგობა ინტერვენტებისადმი.

მაგრამ მსოფლიო რეაქცია ვერ შესძლებს წამოაჩოქოს ესპანელი ხალხი. მხოლოდ შეშლილს შეუძლია იფიქროს, რომ ეს ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი შეურიგდება თავისი ქვეყნის კოლონიურ დამოკიდებულებას, რასაც მას მსოფლიო რეაქცია უმზადებს, რომ ის მორჩილად მოიხრის ქედს გამცემის, ავანტიურისტისა და უცხოეთის ფაშიზმის აგენტის ფრანკოს წინაშე. ესპანელი ხალხის ზურგზე ვერ იბოგინეს, მიუხედავად მსოფლიო რეაქციის მთელი დახმარებისა, ვერც მეფეებმა, ვერც დიქტატორებმა, ვერც ალფონსებმა, ვერც პრიმო დე რივერებმა. როგორღა შეიძლება იბოგინოს გარეწარმა, რომელიც გერმანიის არტილერიით ანგრევდა ესპანეთის ქალაქებსა და სოფლებს, იტალიის ყუმბარებით ხოცავდა ათასობით ესპანელ ქალებსა და ბავშვებს, ჯალათმა, რომელმაც ესპანეთი სისხლით მორწყო, რომელიც ესპანელი ხალხის მიერ დაგმობილი წყეულია.

(ხმა ადგილიდან: „სწორია". ტაში).

მსოფლიო რეაქცია ვერ შესძლებს ამოშალოს ესპანელი ხალხის შეგნებიდან მისი თითქმის სამი წლის გმირული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ხალხს უკეთესი დღეები ახსოვს. მას თავის ხელში ეპყრა იარაღი. იგი სთესავდა მემამულეთა მიწებს, იგი თვითონ აწყობდა წარმოებას ფაბრიკებსა და ქარხნებში, მან გამოსცადა თავისუფალი ცხოვრება. ასეთი ხალხი ვერასოდეს ვერ იქნება დაპყრობილი. **(მქუხარე ტაში).** მისი მსხვერპლი ერთი - ასად ანაზღაურდება. მშრომელთა შეგნებაში ეს მსხვერპლი აღიბეჭდება, როგორც არა მარტო ფაშისტური მთავრობების, არამედ აგრეთვე მათი ინგლისელი და ფრანგი ხელშემწყობების, ყველა ექსპლუატატორული კლასის ჩამოურეცხელი, სამუდამო სირცხვილი, იგი გამოიწვევს ხალხთა უდიდეს სიძულვილის მოზღვავებას მათს წინააღმდეგ, მასების რევოლუციურ აღშფოთებას ხალხთა დიად რევოლუციურ საქმეებად გადააქცევს. ნუ ჰგონიათ საფრანგეთის რეაქციონერებს, რომ რესპუბლიკური ესპანეთის მიმართ თავისი გამცემლური პოლიტიკით ისინი ბოლოს მოუღებენ მუშურ და ანტიფაშისტურ მოძრაობას საფრანგეთში. მართალია, ამ ვერაგული პოლიტიკით მათ გაამხნევეს სახალხო ფრონტის ყველა მოწინააღმდეგე, ზედაპირზე ამოცურდნენ ბურჟუაზიის აგენტები, რომელნიც შეპარული იყვნენ სახალხო ფრონტის რიგებში, რათა შიგნიდან აეფეთქებინათ იგი. თავი წამოჰყო ყველა კაპიტულანტურმა ელემენტმა, რომლებიც რევოლუციური მოძრაობის ტალღით ანტიფაშისტურ ნაპირზე იყვნენ გარიყულნი. სახალხო ფრონტის ყველა ამ მტერმა თავი აიშვა. ისინი ტყვიას უშინენ კომუნისტებს მადრიდში. ისინი მოითხოვენ მუშათა ერთიანი ფრონტის ჩაშლას საფრანგეთში, ისინი ცდილობენ მიაღწიონ სახალხო ფრონტის მოძრაობის ლიკვიდაციას სხვა ქვეყნებში. ანტიფაშისტური მოძრაობა გაწმენდს ამ გამცემლური კაპიტულანტური ჭუჭყიანი ქაფისაგან მხოლოდ განამტკიცებს და უფრო ბრძოლისუნარიანს გახდის მას.

მიუნხენელთა გამცემლურ პოლიტიკას მოძრაობაში მოჰყავს ის ფენები, რომელნიც დღემდე განზე უდგნენ პოლიტიკურ ბრძოლას, იგი წარმოადგენს გამოსავალ პუნქტს მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ ძალთა უფრო ფართო კონცენტრაციისათვის, ვიდრე სახალხო ფრონტია, იგი იძლევა ბიძგს ანტიფაშისტური მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის მთელს მსოფლიოში და უწინარეს ყოვლისა ინგლისში, აჩქარებს მასებში კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშის იდეის მომწიფებას.

მაგრამ შეიძლებოდა თუ არა, ამხანაგებო, ჩაგვეშალა მსოფლიო რეაქციის შეთქმულება ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ? ეს უეჭველად შესაძლებელი იყო. ეს შესაძლებელი იქნებოდა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატს ესპანეთის ხალხის ნაციონალურ-რევოლუციური ომის დაწყებისთანავე გაეერთიანებინა თავისი ძალები, რომ II ინტერნაციონალის ხელმძღვანელობას მიეღო კომუნისტური ინტერნაციონალის წინადადება მოქმედების ერთიანობის დამყარების შესახებ კაპიტალის თავდასხმის, ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თავისი წინადადება მოქმედებათა ერთიანობის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა ათჯერ შეიტანა გასული ხუთი წლის განმავლობაში. რა პასუხს გვაძლევდნენ ჩვენ სოციალისტური ინტერნაციონალის რეაქციონერი ლიდერები? ისინი გვიპასუხებდნენ, რომ მოქმედებათა საერთაშორისო ერთიანობისათვის აუცილებელია ერთიანი ფრონტის წინასწარ განხორციელება ცალკეულ ქვეყნებში. კომინტერნის სექციები მიმართავდნენ ცალკეულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს. ამ პარტიების ლიდერები უპასუხებდნენ, რომ ჯერ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება საერთაშორისო

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

---

*) დასაწყისი. იხ. 14/III „კომუნისტი".

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში

მომხსენებელი ამხ. დ. მანუილსკი

გაგრძელება

მასშტაბით. ასტურიის გაჩაღებული ბრძოლების დროს II ინტერნაციონალის ლიდერებმა ცინიკურად მისცეს წინადადება კომინტერნს მოეცადნა რამდენიმე თვეს, როდესაც მათი აღმასკომი შეიკრიბებოდა. აღმასკომი იკრიბებოდა, მისი სექციების უმრავლესობა ხმას აძლევდა მოქმედებათა საერთაშორისო ერთიანობას, მაგრამ მოქმედებათა ერთიანობის წინააღმდეგნი იყვნენ ინგლისის ლეიბორისტები. და უმრავლესობაც ემორჩილებოდა სიტრინისა და მორისონების ნება-სურვილს, ემორჩილებოდა მათ ზურგ უკან მდგომი ინგლისის რეაქციული ბურჟუაზიის ნება-სურვილს.

ამავე დროს კი, თავისი ძალების გაერთიანებით საერთაშორისო პროლეტარიატს შეეძლო მიეღწია რესპუბლიკური ესპანეთის საზღვრების გახსნისათვის, არ დაეშვა მისი ბლოკადა, დახმარებოდა ესპანეთის ხალხს გამარჯვების მოპოვებაში და ამით თავიდან აეცილებინა ავსტრიის ოკუპაცია, ჩეხოსლოვაკიის დანაწილება და ჩაეშალა თვით მიუნხენის შეთქმულების შესაძლებლობა. მას შეეძლო მიეღწია იტალიის ფაშიზმის დამარცხებისათვის აბისინიაში, იძულებულეყო ბურჟუაზიული მთავრობები საქმით გაეტარებინათ ერთა ლიგის მიერ დეკლარირებული სანქციები. მას შეეძლო აემოძრავებინა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი იაპონიის წინააღმდეგ, შეეძლო ჩაეშალა იაპონიის მომარაგება ნედლეულით, იარაღით, ჩიხში მოემწყვდია იაპონიის მილიტარისტები, მაგრამ ეს არ სურდათ კაპიტულანტებს II ინტერნაციონალიდან, რადგან მათ სახალხო ფრონტის გამარჯვება ფაშიზმის გამარჯვებაზე უფრო აშინებთ.

შეიძლება თუ არა ჯერ კიდევ შევუშალოთ ხელი მეორე იმპერიალისტური ომის შემდგომ გაშლას და დავამარცხოთ ფაშიზმი? შეიძლება, თუმცა ეს ამჟამად უფრო ძნელია, ვიდრე წინათ იყო.

რა არის საჭირო ახლა იმისათვის, რომ დავამარცხოთ ფაშისტი აგრესორები?

პირველი, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტულანტების წინააღმდეგ, თვით მათს სრულ მხილებამდე, მათს იზოლაციასა და განადგურებამდე. კაპიტულანტები არიან შეთანხმებლები არა მარტო ბურჟუაზიასთან, ისინი შეთანხმებლები არიან ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციულ ნაწილთან, შეთანხმებლები არიან ფაშიზმთან. კაპიტულანტები — ეს ფაშისტური აგენტურაა მუშათა მოძრაობაში, აგენტურა, რომელიც გამოდის „პაციფიზმის" ნიღაბით მასების მოსატყუებლად. სოციალ-დემოკრატიის რეაქციონერმა ლიდერებმა 1933 წელს გერმანიის ხალხთა მასები ფაშისტური დიქტატურის ნაჯახქვეშ დააყენეს, ატყუებდნენ რა მასებს იმით, რომ ისინი იფარავენ მათ სამოქალაქო ომისაგან. დღევანდელი კაპიტულანტები ეხმარებიან ბურჟუაზიას ჩააბან ხალხები იმპერიალისტურ ომში, არწმუნებენ რა მათ, რომ ისინი იცავენ მშვიდობიანობის საქმეს, იცავენ ხალხებს ომებისაგან. ისინი ამზადებენ ომებს იმავე ხერხების საშუალებით, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ, როდესაც ფაშისტური დიქტატურის დასამყარებლად ემზადებოდნენ. „მშვიდობიანობის" შენარჩუნების სახელით ისინი მოუწოდებენ ხალხებს უკან დაიხიონ ფაშისტ აგრესორთა წინაშე. ოტო ბაუერის მსგავსად, ისინი პოზიციას პოზიციაზე აბარებენ ფაშიზმს და ამავე დროს იმუქრებიან, რომ ისინი „მაშინ აისხამენ იარაღს, როდესაც მათ თავს დაესხმიან". ჯერჯერობით კი ისინი გერმანიის ფაშიზმს აძლევენ ავსტრიას, სუდეტის ოლქს, ჩეხოსლოვაკიას, ნებას აძლევენ მას განმტკიცდეს დუნაის აუზში და ბალკანეთში, დასაგლეჯად აძლევენ ინტერვენტებს ესპანეთს, ფაშისტ აგრესორებს უთმობენ ყველა მისასვლელ გზას სხვა ხალხებზე თავდასასხმელად.

ისინი ცდილობენ ხალხთა მასების დემორალიზებას საზიზღარი გამცემლური ლოზუნგით „უკეთესია მონობა, ვიდრე ომი". მაგრამ ხალხებმა იციან, რომ მონებს იმპერიალისტური მტაცებლები საზარბაზნე ხორცად აქცევენ თავიანთ მტაცებლური ომებისათვის; მონები ვერ ასცდებიან ომებს, ისინი მონაწილეობას იღებენ ამ ომებში თავიანთ დამმონებელთა მხარეზე, მონაწილეობას იღებენ როგორც სხვა ხალხების დამოუკიდებლობის ჯალათები.

ინგლის-საფრანგეთის კაპიტულანტები იმაზე ოცნებობენ, რომ გერმანიის ფაშიზმი აღმოსავლეთისაკენ მიაბრუნონ. ამ ვაჟბატონების ენაზე ამასაც მშვიდობიანობის შენარჩუნება ეწოდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის ფაშიზმს არ უყვარს გაუვალი გზები დაუძლეველი დაბრკოლებებით, მას ურჩევნია წავიდეს იქით, სადაც უფრო ადვილია გავლა, სადაც კაპიტულაციას ახდენენ ფაშიზმის წინაშე.

ისეთი ნეიტრალური ქვეყნების კაპიტულანტები, როგორიცაა, მაგალითად, სკანდინავია, ჰფიქრობენ ომისაგან თავი დაიფარონ „ნეიტრალობის" ზესტში და ეხმარებიან თავის ბურჟუაზიას გამდიდრდნენ, როგორც 1914-18 წლებში, სამხედრო მასალების მიწოდებით. მაგრამ ახლა სულ სხვა დროა. ახლა ფაშისტი აგრესორები მოსვენებას არ მისცემენ არცერთ მეზობელ სახელმწიფოს, სანამ მას თავიანთ სამხედრო ავანტიურების ორბიტში არ ჩაითრევენ, სანამ მის საზღვრებს „არიული რასის" ინტერესების სასარგებლოდ არ გადააკეთებენ.

კაპიტულანტები მასებს იმით აშინებენ, რომ სახალხო ფრონტი ფაშისტებს პროვოკაციას უწევს თავდასასხმელად. მაგრამ სახალხო ფრონტის შექმნა ნიშნავს ფაშისტი აგრესორებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ფაშისტებს მადას აღვივებს არა წინააღმდეგობის გაწევა, არამედ მისი გაუწევლობა.

კაპიტულანტები მასებს ჩასჩურჩულებენ: „შეხედეთ ესპანეთის უზარმაზარ მსხვერპლთ, განა უმჯობესი არ არის უბრძოლველად დანებდეთ, როგორც ჩეხოსლოვაკია დანებდა". მაგრამ ხალხები რომ ამ დამღუპველ მოწოდებას აჰყოლოდნენ, ფაშიზმი დღეს ბატონ-პატრონი იქნებოდა ევროპაში. ესპანეთი რომ ჩეხოსლოვაკიის გზით წასულიყო, დღეს სხვა ხალხები, და უწინარეს ყოვლისა ფრანგი ხალხი, უკვე იქნებოდნენ ფაშისტური აგრესიის ობიექტი.

მეორე, ფაშისტი აგრესორების დასამარცხებლად საჭიროა **მოქმედება, ზურგგამაგრებული მატერიალური ძალის არგუმენტებით**, მოქმედება იმ სახელმწიფოებისა, რომელთა წინააღმდეგაც არსებითად მიმართულია ფაშისტური აგრესია (საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები). მსოფლიო რეაქცია განზრახ ჰქმნის ლეგენდას გერმანიის ფაშიზმის ძლიერებაზე, რათა დაასუსტოს ხალხთა მასების ნებისყოფა წინააღმდეგობის გაწევისა. დიდი სერიოზული ომისათვის ფაშისტური გერმანია მზად არ არის; მას არ აქვს საკმაო ნედლეული, სურსათი, მისი ფინანსიური მდგომარეობა კრიტიკულია, მისი ნაპირები მისაწვდომია საზღვაო ბლოკადისათვის, მის არმიაში მეთაურთა შემადგენლობის ნაკლებობაა, მისი ზურგი — ფაშიზმისათვის საშიში ზურგია. მატერიალური ძალის უპირატესობანი უეჭველად ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მხარეზეა. ამ სახელმწიფოებში **ერთი-სამად** მეტი მოსახლეობაა, ვიდრე აგრესორთა ბლოკის სახელმწიფოებში, ფოლადის წარმოება 1,5—2-ჯერ მეტია, ელექტროენერგიის გამომუშავება — **ერთი-ორად** მეტი, ავტომობილების გამოშვება — **თოთხმეტჯერ** მეტი, თხევადი სათბობი მასალის მოპოვება — **ორმოცდათხუთმეტჯერ** მეტი, საფეიქრო ნედლეულისა — **ცხრაჯერ** მეტი, სურსათისა — **ოთხჯერ** მეტი; მათ შეუძლიათ მთლიანად დააკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებანი ნედლეულის მხრივ, მაშინ როდესაც აგრესორთა ბლოკი მშვიდობიან დროსაც კი განიცდის დეფიციტს 50-55 პროცენტის რაოდენობით. მათი ოქროს არსებული მარაგი **ორმოცდაცხრაჯერ** აღემატება ფაშისტურ სახელმწიფოთა ოქროს რეზერვებს. მათი საწარმოო შესაძლებლობანი თვითმფრინავთა მშენებლობის, არმიის მოტორიზაციის, მისი სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ გაცილებით აღემატება ფაშისტთა ბლოკის ყველაზე გაბედულ ვარაუდებსაც კი. საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტი **ერთი-ორად** უფრო ძლიერია, ვიდრე გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ფლოტი.

ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მტკიცე პოლიტიკა ფაშისტ აგრესორებისათვის წინააღმდეგობის გაწევისა, კომბინირებული **ეკონომიურ ზემოქმედებასთან**, საკმაოდ ქმედი საშუალება იქნებოდა, რათა ფაშისტური სახელმწიფოებისათვის უკან დაეხევინებინათ. ასეთი პოლიტიკა მშვიდობიანობის ნამდვილი პოლიტიკა იქნებოდა. მას ყველა ხალხი დაუჭერდა მხარს. იგი კვლავ მოაბრუნებდა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ მცირე სახელმწიფოებს, რომლებიც მიუნხენის კურსმა ახლა აბნეულ მდგომარეობაში ჩააყენა. ეს იქნებოდა ხალხების დემოკრატიულ მონაპოვართა განმტკიცების პოლიტიკა, რასაც მხარს დაუჭერდა საერთაშორისო მუშათა კლასი.

მაგრამ იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ასეთი მობრუნება ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკაში, აუცილებელია მუშათა კლასმაც აამოქმედოს ბურჟუაზიულ მთავრობებზე **მატერიალური ზემოქმედების** ძალები. იარაღი, რომელიც მუშათა კლასს მოეპოვება, — ეს არის გაფიცვები, მასობრივი დემონსტრაციები, ეს არის სახალხო მოძრაობა მტაცებლური ომების წინააღმდეგ. ამ იარაღის გამოყენება მით უფრო მეტ შედეგებს გამოიღებს, რაც უფრო ჩქარა დაამყარებს მუშათა კლასი მოქმედების საერთაშორისო ერთიანობას. მტაცებლური ომების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა ყველა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებული მოქმედება.

III. კომუნისტური მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ა) კომპარტიების ტაქტიკის ზოგიერთი საკითხი

გადავდივარ ჩემი მოხსენების მესამე ნაწილზე, რომელიც მიძღვნილია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისადმი. ჯერ რამდენიმე შენიშვნა კომპარტიების ტაქტიკის ზოგიერთ საკითხზე.

მეორე იმპერიალისტური ომის ვითარება არ არის ისეთი, როგორიც იყო 1914-18 წლების ომის — პირველი იმპერიალისტური ომის დროს. ამჟამად, 1914-18 წლებისაგან განსხვავებით, მსოფლიო გაყოფილია ორ მოპირდაპირე სისტემად: კაპიტალიზმის სამყაროდ და სოციალიზმის სამყაროდ. ამჟამად არსებობენ არა მხოლოდ იმპერიალისტური სახელმწიფოები, არამედ ისეთი იმპერიალისტური სახელმწიფოებიც, რომლებმაც ფაშისტური რეჟიმი დაიმყარეს, რომლებიც ისწრაფვიან იარაღის ძალით მოახვიონ იგი თავს სხვა ხალხებს და რომლებიც გამოდიან მძარცველური ომების მოთავეებად.

„მეორე იმპერიალისტური ომის განმასხვავებელი ნიშანი ჯერჯერობით ის არის, რომ მას აწარმოებენ და აჩაღებენ აგრესიული სახელმწიფოები, მაშინ როცა სხვა სახელმწიფოები, „დემოკრატიული" სახელმწიფოები, რომელთა წინააღმდეგაც არსებითად მიმართულია ომი, თავს ისე მოგვაჩვენებენ, თითქოს ომი მათ არ ეხებოდეს, ხელებს იბანენ, უკან იხევენ, ქებას ასხამენ თავის მშვიდობისმოყვარეობას, ლანძღავენ ფაშისტ აგრესორებს და... თავის პოზიციებს თანდათანობით უთმობენ აგრესორებს, არწმუნებენ რა ამასთან, ჩვენ წინააღმდეგობის გასაწევად ვემზადებითო". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 405-406).

ფაშისტურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ევროპის განაწილება, ძალის საშუალებით ახდენენ პატარა ერების „თვითგამორკვევას", აყენებენ კოლონიების გადანაწილების საკითხს. ამ ახალ ვითარებაში კომუნისტებს უხდებათ განსაზღვრონ თავისი პოზიცია დღევანდელი ომების მიმართ, ფაშისტურ სახელმწიფოთა კოლონიური პრეტენზიებისა და ფაშისტი დემაგოგების მიერ „ნაციონალური თვითგამორკვევის" ლოზუნგის ექსპლუატაციის ცდების მიმართ.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების თანახმად, ომებს ჰყოფს **სამართლიან და უსამართლო** ომებად:

„ა) ომი სამართლიანი, არამტაცებლური, განმათავისუფლებელი, რომელიც მიზნად ისახავს ან ხალხის დაცვას გარეშე თავდასხმისაგან და მისი დამონების ცდებისაგან, ან ხალხის განთავისუფლებას კაპიტალიზმის მონობისაგან, ანდა, ბოლოს, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განთავისუფლებას იმპერიალისტების მხრივ ჩაგვრისაგან, და

ბ) ომი უსამართლო, მტაცებლური, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების, სხვა ხალხების დაპყრობასა და დამონებას". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 203).

ეს მითითება გზის მაჩვენებელი ძაფია კომუნისტებისათვის **მუშათა კლასისა და მშრომელთა პოზიციის განსაზღვრისას თვითეული კონკრეტული ომის მიმართ**. ეს იმას ნიშნავს, რომ მშრომელები მხარს დაუჭერენ ყოველი ხალხის სამართლიან ომს მისი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის იმპერიალისტურ მტაცებელთა წინააღმდეგ. ისინი მხარს დაუჭერენ ომს, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო რეაქციის, მისი დამკვრელი მუშტის — გერმანიის, იაპონიისა და იტალიის უსწრაფეს დამარცხებას. ისინი მხარს დაუჭერენ ომს, რომელიც აჩქარებს გამარჯვებას მსოფლიო პროლეტარიატისას, რომლის ინტერესებიც სავსებით და მთლიანად ემთხვევიან გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის, ყველა მშრომელთა სამშობლოს ინტერესებს.

კომუნისტები თავის უპირველეს მოვალეობად სთვლიან დარაზმონ ყველა ქვეყნის მშრომელები დახმარების აღმოსაჩენად იმ ხალხისათვის, რომელიც აწარმოებს სამართლიან ომს, რათა ყოველნაირი საშუალებით შეუწყონ ხელი ამ ხალხის გამარჯვებას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მითითება სამართლიან და უსამართლო ომებზე საშუალებას აძლევს კომუნისტებს დასახონ მკაფიო **ლენინურ-სტალინური ხაზი იმ ბრძოლის მიმართ, რომელიც ჩაღდება იმპერიალისტურ მტაცებელთა შორის კოლონიურ ხალხებზე ბატონობისათვის.**

კომუნისტები უაღრესად თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებენ იმპერიალისტების მიერ კოლონიური ხალხების ყოველგვარი ჩაგვრისა და დამონების წინააღმდეგ. მათი საქმე როდია დაიცვან არსებული კოლონიური იმპერიები. მით უმეტეს ისინი შეურიგებელ მტრობას უწევენ კოლონიურ პრეტენზიებს ფაშისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც უფრო უარეს მონობას უმზადებენ კოლონიურ ხალხებს. კომუნისტები მხარს უჭერენ მოძრაობას კოლონიებში ბრძოლის საერთო - ნაციონალური ფრონტის შექმნისათვის იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ და ცდილობენ დაამყარონ მეტროპოლიის მუშათა კლასისა და კოლონიების ჩაგრული ხალხების მოქმედების ერთიანობა. ეგრეთწოდებულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა იმპერიალისტური მთავრობებისაგან ისინი მოითხოვენ კოლონიების მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის დაუყოვნებლივ რადიკალურ გაუმჯობესებას და ფართო დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების მინიჭებას კოლონიებისათვის.

ამავე დროს კომუნისტები ამხელენ ცინიკურ მოტყუებას ომის ფაშისტ გამჩაღებლების მიერ, რომლებიც ცდილობენ კოლონიური მასების უკმაყოფილება თავისი მტაცებლური მიზნებისათვის გამოიყენონ. იცავენ რა კოლონიურ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას თვით გამოყოფამდე, კომუნისტები, ლენინ-სტალინის მოძღვრების შესაბამისად, გამოყოფის უფლების თვით განხორციელებას უმორჩილებენ თვითონ კოლონიური ხალხების განთავისუფლებელი ბრძოლის ძირითად ინტერესებს, ფაშიზმის, მშრომელთა ამ უბოროტესი მტრის განადგურების ინტერესებს და ინტერესებს საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვებისას მის ექსპლუატატორებზე.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მითითება საშუალებას აძლევს კომუნისტებს დაიკავონ აგრეთვე **სწორი პოზიცია „ნაციონალური თვითგამორკვევის" ლოზუნგით ფაშისტური სპეკულაციის მიმართ.** დაჩაგრეს რა თავისი საკუთარი ხალხები და იმონებენ რა უცხო ხალხებს, ომის ფაშისტი გამჩაღებლები ცდილობენ „ნაციონალური თვითგამორკვევის" დემოკრატიული ლოზუნგისაგან შექმნან კონტრრევოლუციური იარაღი თავისი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად. პირფერულად გამოდიან რა ნაციონალური თვითგამორკვევის მომხრეთა ნიღაბით, ისინი ცდილობენ გახრწნან მრავალეროვანი კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ფაშისტური ექსპანსიის გზაზე დგანან, და მცირე ქვეყნები გადააქციონ პლაცდარმად სხვა სახელმწიფოებზე შეტევისათვის.

თანმიმდევრობით იბრძვიან რა ნაციონალური ჩაგვრის ყველა ფორმის წინააღმდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, იცავენ რა ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებას თვით გამოყოფამდეც კი, მოუწოდებენ რა ჩაგრულ ერებს ბრძოლისაკენ ურთიერთობის დასამყარებლად სსრ კავშირის ხალხთა სტალინური ძმობის დიადი გამოცდილების საფუძველზე, კომუნისტები დღევანდელ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მთავარ ცეცხლს მიმართავენ „ერთა თვითგამორკვევის" ფაშისტური სიყალბისაკენ, როგორც ჩაგრული ერების უაღრესად ცინიკური მოტყუებისაკენ და ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული უაღრესად ცუდი ბოროტმოქმედებისაკენ. კომუნისტები პირველ ადგილას აყენებენ ბრძოლას ფაშისტურ სახელმწიფოთა მიერ დამონებულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისათვის. ისინი მოითხოვენ თავისუფალ თვითგამორკვევას ავსტრიისას, რომელიც პლებისციტის წინადღით ძალადობით ჩაიგდო ხელში ფაშისტურმა გერმანიამ აგრეთვე მის მიერ ჩეხოსლოვაკიისაგან ჩამოცილებულ სუდეტის ოლქისას, კორეის ფორმოზის, აბისინიის თავისუფალ თვითგამორკვევას, ესპანეთისა და ჩინეთის გაწმენდას იმპერიალისტური დამპყრობელებისაგან.

ბ) კომპარტიების მდგომარეობა

კომუნისტური ინტერნაციონალი XVII პარტიული ყრილობის მომენტისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში ითვლიდა 860.000 კომუნისტს. დღეს იგი ითვლის 1.200.000 კაცს, კომკავშირელთა და იმ ახალგაზრდა რევოლუციონერთა რიცხვი, რომლებიც ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს ემხრობიან, 110.000-დან 746.000 კაცამდე გაიზარდა. მთლიანად — ეს არის არმია თითქმის **ორი მილიონი** კაცის შემადგენლობით.

მაგრამ ეს ციფრები ვერ გვიხატავენ კომპარტიების ნამდვილი ორგანიზაციული ვითარების სურათს. არიან ათეული ათასობით კომუნისტები, რომლებიც თავდადებულ არალეგალურ მუშაობას ეწევიან და რომლებიც არავითარ სტატისტიკურ აღრიცხვაზე არ არიან აყვანილნი. ჩინეთის კომუნისტებმა, რომლებმაც 1935 წელს დასტოვეს ძიანსის საბჭოთა რაიონი, წითელ არმიასთან ერთად გაიარეს 12 ათასი კილომეტრი და გზადაგზა დიდ პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდნენ მასებში. მათ მიერ შექმნილი უჯრედები ცოცხლობენ, მოქმედებენ, იბრძვიან, თუმცა არსად არ არიან რეგისტრირებულნი.

ჩვენს სტატისტიკაში არ შედიან ათეული ათასობით კომუნისტები, რომლებიც საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან. კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექცია გარემოცულია მუშათა აქტივით, რომელიც აწარმოებს მუშაობას პარტიის დირექტივის თანახმად და ამ აქტივის რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება პარტიის წევრთა რაოდენობას.

ამ აქტივის გარდა, კომპარტიას ჰყავს კიდევ უფრო ფართო პერიფერია მუშებისა, რომლებიც კომპარტიის ერთგულნი არიან, რომელთაც სწამთ მისი და მხარს უჭერენ მას. ბელგიის კომპარტია არ არის დიდი. მის რიგებში ითვლება სულ 7 ათასი წევრი, მაგრამ უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებში მან შეკრიბა 160 ათასი ხმა; ჰოლანდიის კომპარტია თავის რიგებში ითვლის 10 ათას კაცს. მაგრამ მან ხმა მისცა 137 ათასმა კაცმა. თუ ანალიზს გავუკეთებთ არჩევნების შედეგებსა და კომპარტიის გავლენის სხვა მაჩვენებლებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვითეული კომუნისტი წინ უძღვის, სულ ცოტა, 15-დან 20-მდე მუშასა და მშრომელს.

გაიზარდა კომუნისტების გავლენა პროფკავშირულ მოძრაობაში; მთელ რიგ ქვეყნებში კომუნისტებმა თავისი თავდადებული მუშაობით მოიპოვეს ნდობა პროფკავშირების წევრთა მასებისა, რომლებმაც ისინი დააწინაურეს ხელმძღვანელ პოსტებზე პროფკავშირულ მოძრაობაში.

მაგრამ განვლილ ხუთწლედში კომპარტიები არათანაბრად ვითარდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. გაიზარდნენ და განმტკიცდნენ მათგან ისინი, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწეოდნენ და ეწევიან მათს ქვეყანაზე ავაზაკური თავდასხმის წინააღმდეგ, როგორც ესპანეთისა და ჩინეთის კომპარტიები. გაიზარდნენ იმ ქვეყნების კომპარტიები, სადაც პროლეტარიატმა შესძლო შეენარჩუნებინა მტკიცე პოზიციები რეაქციასთან ბრძოლაში, სადაც მის ბრძოლას მხარი დაუჭირეს გლეხებმა და ქალაქის წვრილმა მოსახლეობამ, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში; გაიზარდნენ კომპარტიები, რომლებიც მოქმედებენ ცოტად თუ ბევრად ლეგალური არსებობის პირობებში, სადაც სოციალ-დემოკრატია სუსტია, როგორც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში. გაცილებით უფრო ნელა იზრდებოდნენ კომპარტიები იქ, სადაც სოციალ-დემოკრატია ძლიერია და სადაც მისი რეაქციული ლიდერები ფუშავდნენ მუშათა კლასისა და მშრომელთა მოქმედების ერთიანობას; ჩვენ მხედველობაში გვყავს ინგლისი და სკანდინავიის ქვეყნები. საგრძნობლად ჩამორჩნენ კომპარტიები იმ ქვეყნებში, სადაც მუშათა მოძრაობა დათრგუნვილია, განსაკუთრებით ტოტალიტარული ფაშისტური დიქტატურის ქვეყნებში.

კომუნისტურ პარტიათა შორის, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გაიზარდნენ, ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია **ესპანეთის გმირულ კომპარტიას**, პარტიას, რომელმაც მტკიცედ შეითვისა ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითება, რომ ნამდვილი ბოლშევიკები უნდა იყვნენ „თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან. პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე". ესპანეთის კომპარტია 1931 წლიდან 1939 წლამდე გაიზარდა 800 კაციდან 300-ათასიან მძლავრ პარტიად, რომელმაც გაიარა არალეგალური მუშაობის, რევოლუციის, სამოქალაქო ომის, უცხოელთა კონტრრევოლუციური ინტერვენციის წინააღმდეგ ომის სკოლა. იგი წარმოადგენს მაგალითს ნამდვილი სახალხო პარტიისას, რომლის ღრმა ფესვებს მუშათა და გლეხთა მასებში ვერავითარი ფაშისტური ტერორი ვერ ამოჰგლეჯს.

ესპანეთის კომპარტიამ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ხალხის ყველა ფენაში თავისი სწორი პოლიტიკით, რომელიც ყველა თავისი ზრუნვისა და ზრახვის ცენტრში აყენებს იმის **ინტერესებს, რომ ესპანელმა ხალხმა** თავის მტრებზე **გაიმარჯვოს**. მან ხალხის ნდობა მოიპოვა თავისი თავდადებული გმირობით. ხალხი ხედავდა, თუ როგორ გაჩნდებოდა ხოლმე იგი ყველაზე უფრო მძიმე წუთებში ყველაზე საშიშ ადგილებში. იგი პირველი იწყებდა ბრძოლას და უკანასკნელი ამთავრებდა მას. ხალხმა ის იმიტომ შეიყვარა, რომ შეამოწმა იგი მისი ბოლშევიკური საქმეების მიხედვით. მან აღზარდა ისეთი შესანიშნავი ადამიანები, ისეთი მტკიცე სტალინელები, როგორიც არიან ხოზე დიასი და დოლორეს იბარური (**ტაში**). რომლებითაც ამაყობს მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა.

კომინტერნის მეორე სექცია, რომელიც დიდ როლს ასრულებს თავისი ქვეყნის და თავისი ხალხის ცხოვრებაში, წარმოადგენს **ჩინეთის კომპარტია**. მასში ამჟამად 148 ათასი წევრი ირიცხება, იგი დაკავშირებულია არა მარტო მუშებთან, არამედ გლეხთა ფართო მასებთანაც და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს აგრეთვე ინტელიგენციაში, განსაკუთრებით სტუდენტობაში.

ჩინეთის კომპარტია ჩინეთის ხალხის შეიარაღებული ნაწილია. ეს პარტია გამოწრთობილია მრავალი წლის სამოქალაქო და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომის ცეცხლში; წარსულში მან დააგროვა საბჭოთა მოძრაობისა და საბჭოთა ხელისუფლების აშენების გამოცდილება, მას აქვს ფართო პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციის მდიდარი გამოცდილება, რაც ესოდენ ძვირფასია დღევანდელი ნაციონალური ომისათვის ჩინეთში.

იგი დაუფლებულია მაღალ ოსტატობას მტრის ძალთა გახრწნის საქმეში, მას აქვს მოხერხება შეიჭრას მტრის ღრმა ზურგში და აწარმოოს ფართო პოლიტიკური მუშაობა მტრის არმიაში. ჩინეთის კომპარტია ამჟამად ყველაზე სწრაფად იზრდება იმ რაიონებში სადაც მოდებულია პარტიზანული მოძრაობა — იაპონელთა ზურგში.

იგი სიმტკიცისა და მოქნილობის მაგალითს იძლევა ნაციონალური ფრონტის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, ნაციონალური ფრონტისა, რომელიც იაპონელ იმპერიალისტ დამპყრობლებზე გამარჯვების ძირითად პირობას წარმოადგენს. ჩინეთის კომპარტიის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი მუშაობა ახალი კადრების მომზადებისა და დაწინაურების საქმეში. ჩინეთის კომპარტიის საუკეთესო ადამიანებში მაო ძე-დუნსა და ჯუ დეში წარმატებით არის შეერთებული პოლიტიკური ხელმძღვანელებისა და ნიჭიერი სარდლების თვისებები. (**ტაში**).

საფრანგეთის კომპარტია ინიციატორი იყო ანტიფაშისტური სახალხო ფრონტისათვის ბრძოლაში. ხუთი წლის განმავლობაში იგი 40 ათასი წევრიდან დღეისათვის 270 ათას წევრამდე გაიზარდა. ცენტრალური ორგანოს „ლუმანიტეს" ტირაჟი ამ პერიოდის განმავლობაში 120.000-დან 350.000 ცალამდე გადიდდა. ტირაჟის სიდიდით „ლუმანიტეს" მესამე ადგილი უკავია საფრანგეთის ყველა გაზეთს შორის, მან გაუსწრო ათობით ბურჟუაზიულ გაზეთებს, როგორც, მაგალითად, „ტანს", „მატენს". და სხვ. კომპარტიის პროვინციული პრესის ტირაჟი 470 ათას ცალს აღწევს.

პარლამენტის უკანასკნელი არჩევნების დროს 1936 წელს პარტიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა ერთნახევარ მილიონამდე გაიზარდა. ე. ი. 90 პროცენტით აღემატება წინა არჩევნებზე მიღებულ ხმებს. პარიზსა და მის გარეუბნებში კომპარტიამ 60 სადეპუტატო მანდატიდან მოიპოვა 33 მანდატი — აბსოლუტური უმრავლესობა. იგი ყველაზე უფრო ძლიერი პარტიაა პარიზის ოლქში, განსაკუთრებით ლითონის დამუშავების მრეწველობის უდიდეს ქარხნებში. საფრანგეთის კომუნისტების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პროფკავშირებში შემავალი მუშათა მასის დიდი ნდობით სარგებლობენ. ეს ნდობა მათ იმით მოიპოვეს, რომ თავდადებით იბრძოდნენ პროფკავშირთა გაერთიანებისათვის, მათი განმტკიცებისათვის, მშრომელთა უშუალო მოთხოვნებისათვის. აჩაღებდა რა ანტიფაშისტურ მოძრაობას, საფრანგეთის კომპარტია თავის მუშათა კლასისა და თავისი ხალხის საუკეთესო რევოლუციურ ტრადიციებს ეყრდნობოდა. მან უდიდესი მუშაობა ჩაატარა, რათა ქმედი დახმარება გაეწია ესპანეთის რესპუბლიკისათვის.

მნიშვნელოვნად წაიწია წინ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიამ. ყოველი ღონისძიებით უწყობდა რა ხელს პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის ჩამოყალიბებას და პროლეტარიატის გათიშვას ბურჟუაზიული პარტიებისაგან, იგი 20 ათასი წევრიდან 90 ათასამდე გაიზარდა. იგი იმიტომ იზრდებოდა, რომ თავისი მუშაობით ხელს უწყობდა საწარმოო პროფკავშირთა განმტკიცებას, რომლებშიც ჩაბმულია 4 მილიონამდე წევრი, იმიტომ რომ დაუღალავად და მოთმინებით ეწეოდა მუშაობას სამნახევარ მილიონ მუშათა შორის, რომელნიც ამერიკის შრომის რეაქციულ ფედერაციას ემხრობიან, მუშაობას ეწეოდა, რათა აღდგენილი ყოფილიყო პროფკავშირული ერთიანობა კლასთა ბრძოლის საფუძველზე. პარტიამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ზანგთა მშრომელ მასებში, აგრეთვე ამერიკის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის. ფართო დემოკრატიულ მოძრაობაში თავისი მონაწილეობით და ამ მოძრაობის ნახევრულობის კრიტიკით ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია უფრო თანამიმდევრული ანტიფაშისტური ბრძოლის გზაზე აყენებდა ამ მოძრაობას. პარტიის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული ფერმერთა მასებთან და ფერმერთა მოძრაობასთან.

ინგლისის კომპარტიამ მიაღწია თავისი რიგების ერთგვარ რიცხობრივ ზრდას, 6 ათასიდან 18 ათას წევრამდე; გაიზარდა მისი გავლენა პროფკავშირებში და ლეიბორისტთა პარტიის შიგნით. თუმცა ინგლისის კომპარტიის წინადადება ლეიბორისტთა პარტიაში შესვლის შესახებ ლეიბორისტთა ხელმძღვანელობამ უარჰყო, მაგრამ მას ადგილებზე მხარი დაუჭირა 1400 პროფკავშირულმა და ლეიბორისტთა ორგანიზაციამ. კიდევ უფრო მეტს გამოხმაურებას პოულობს მისი კამპანია ინგლისში სახალხო ფრონტის დამყარებისათვის. კრიპსის მემორანდუმმა სახალხო ფრონტის სასარგებლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში 250 ათასი ხელმოწერა შეკრიბა.

მაგრამ, ამ წარმატებათა მიუხედავად, ინგლისის კომპარტია მაინც კომინტერნის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი სექციაა, რომელმაც ვერ გაიკაფა გზა ინგლისის მუშათა კლასის ძირითადი ფენებისაკენ, მუშათა კლასისა, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა აწევს იმისათვის, რომ ინგლისის რეაქციის პოლიტიკა ესპანეთის რესპუბლიკის ბლოკადის საქმეში თავის დროზე არ ჩაშალა მისმა მოძრაობამ.

წინ წაიწია ყველა **ლეგალურმა კომპარტიამ** პროფკავშირებში მათი მუშაობის გაუმჯობესების, ერთიანი და სახალხო ფრონტისათვის მათი ბრძოლისა და ესპანელი ხალხისათვის დახმარების გაწევის საქმეში მათი აქტივობის შედეგად. ასე, მაგალითად, კანადის კომპარტია გაიზარდა 8 ათასიდან 18 ათასამდე, კუბის კომპარტია — 3 ათასიდან 23 ათასამდე, მექსიკის კომპარტია — 2 ათასიდან 30 ათასამდე, შვეციის კომპარტია — 8 ათასიდან 19 ათასამდე, დანიის კომპარტია — 3 ათასიდან 9 ათასამდე. გაიზარდა ზოგიერთი კომპარტია კოლონიურ ქვეყნებში იქ, სადაც მათ შესძლეს აქტიურად ჩაბმულიყვნენ საერთო - ნაციონალური ანტიიმპერიალისტური ფრონტის მოძრაობაში და მასებთან ერთად ბრძოლით მოეპოვებინათ დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა მცირედი ნაწილი მაინც. განვლილ პერიოდში არალეგალური გახდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, რომელსაც არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლამდე 60 ათასი წევრი ჰყავდა. მან შესძლო ამჟამადაც, არალეგალობის პირობებში შეენარჩუნებინა თავისი აქტივი და წევრთა ძირითადი მასა.

მძიმე ზიანი მიაყენეს ფაშისტური დიქტატურის ქვეყნების კომუნისტურ მოძრაობას, განსაკუთრებით გერმანიაში, იაპონიასა და იტალიაში. ბურჟუაზია ათიათასობით კომუნისტს ამწყვდევს საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, სიკვდილით სჯის მათ სასამართლოს განაჩენით და გაუსამართლებლად, ქურდულად ხოცავს მათ. იგი ჯაშუშობის სისტემის ქსელს უწყობს მუშებს სახლებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, საწარმოებში, სადაც ისინი მუშაობენ, ფაშისტურ ორგანიზაციებში, სადაც მათ ძალით შერეკვას ცდილობს იგი. მათ წინააღმდეგ იგი ასისიანებს ფაშისტურ ბრბოს, ბრალს სდებს მათ სახელმწიფო „ღალატში".

როგორ მუშაობენ კომუნისტები ამ ქვეყნებში? ტოტალიტარული ფაშისტური დიქტატურის პირობებში მათთვის ძნელია თავიდან ბოლომდე ცენტრალიზებული პარტიული ორგანიზაციის შექმნა. ისინი ჰქმნიან ჯგუფების განშტოებულ ქსელს. ეს ჯგუფები შესდგება ადამიანებისაგან, რომელნიც დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს და დაკავშირებულნი არიან ურთიერთობით. ასეთი ჯგუფები ასობით არის. ისინი კარგად კონსპირირებული, მოძრავი და მოქნილი არიან. პოლიციისთვის ძნელია მათი მიგნება. ეს ჯგუფები ენერგიულ საქმიანობას ანვითარებენ თავიანთ სახლებში, უბნებსა და რაიონებში. შემდეგ, კომუნისტები მუშაობენ საწარმოებში. მათი აქტიური მუშაობის მეოხებით ფაშისტებმა ვერც გერმანიაში და ვერც იტალიაში ვერ შესძლეს მოეპოვებინათ გავლენა ფაბრიკებსა და ქარხნებში. დასასრულ, კომუნისტები მშრომელთა შორის მუშაობისათვის მასობრივ ფაშისტურ ორგანიზაციებს იყენებენ.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის ბელადი ამხ. ტელმანი უკვე მეექვსე წელია ფაშისტურ საპყრობილეში იტანჯება, მიუხედავად არალეგალობის უმძიმესი პირობებისა, გერმანიის კომპარტიამ შესძლო შეენარჩუნებინა თავისი ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს ერთადერთ ანტიფაშისტურ პარტიას, რომელიც მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა გერმანიაში. (**მქუხარე ტაში**).

მაგრამ, სამწუხაროდ, პარტია ძალიან დიდხანს ცხოვრობდა თავისი ყოფილი მასობრივი ძალის ჰიპნოზის ქვეშ, იმედი ჰქონდა ფაშისტური რეჟიმის მალე და ადვილად დამხობისა. შემდეგ, როცა მან თავისი მუშაობა გარდაჰქმნა, კურსი აიღო პროლეტარულ ძალთა დაგროვებისა და მათი ორგანიზაციის განმტკიცების ხანგრძლივ ბეჯით მუშაობაზე, ზოგიერთი გერმანელი კომუნისტი მეორე უკიდურესობაში გადავარდა. მათ საკმაოდ ვერ გაითვალისწინეს ფაშისტური რეჟიმით მასების უკმაყოფილების ზრდის სწრაფი ტემპები და მოუმზადებელი შეხვდნენ ანტიფაშისტურ განწყობილებათა ზრდას, რასაც უკანასკნელ თვეებში ადგილი აქვს გერმანიაში.

იაპონიის კომპარტიას აქვს იაპონიის ფაშისტური სამხედრო ხროვის დამპყრობლური გეგმების წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიცია. იგი იბრძოდა მანჯურიაში იაპონელი იმპერიალისტების შეჭრის წინააღმდეგ, დემონსტრაციებსა და გაფიცვებს აწყობდა ომის წინააღმდეგ, რაზმავდა ჯარისკაცებს და მეზღვაურებს. 1937 წლიდან, ჩინეთში იაპონელი იმპერიალისტების ახალი შესევის მომენტიდან, პარტია ინტენსიურ ომისსაწინააღმდეგო მუშაობას ეწეოდა, იგი იბრძოდა შოვინიზმის წინააღმდეგ, მან მოაწყო მობილიზებულთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის ფართო კამპანია, წამოაყენა ჩინეთიდან იაპონიის არმიის გაწვევის მოთხოვნა, იგი გადაიქცა სახალხო ფრონტისათვის მოძრაობის მამოძრავებელ ძალად. მიუხედავად გააფთრებული ტერორისა, პარტიამ შესძლო შეენარჩუ-

(დასასრული მე-4 გვ.)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში

მომხსენებელი ამხ. დ. მანუილსკი

(დასასრული)

ნებინა კავშირი მასებთან, თუმცა პარტიის რიცხვობრივი ზრდა დიდად ჩამორჩება მის მასობრივ გავლენას.

საჭიროა აღინიშნოს **იტალიის კომპარტიის** დიდი სისუსტე. ფაშისტური დიქტატურის არსებობის მრავალი წლის განმავლობაში მან ვერ შესძლო შეექმნა მტკიცე არალეგალური ორგანიზაცია, გაეშალა სერიოზული მუშაობა ფაშისტურ პროფკავშირებში და სხვა მასობრივ ფაშისტურ ორგანიზაციებში, ფაშიზმის გავლენისაგან გაეთავისუფლებინა მოზარდი ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვანი ფენები. ზოგიერთი იტალიელი კომუნისტის მიერ გეზის აღება იმაზე, რომ ფაშიზმი მხოლოდ ომში დამარცხების შედეგად შეიძლება დაინგრეს, სინამდვილეში ოპორტუნისტული პასივობის საფარს წარმოადგენს. უმთავრესად სწორედ ამით აიხსნება ის, რომ პარტიამ ვერ შესძლო სათავეში ჩასდგომოდა მასების უკმაყოფილებას იტალიის ფაშიზმის მიერ აბისინიასა და ესპანეთში წარმოებული ომით, უკმაყოფილებას, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მთელ რიგ სტიქიურ მასობრივ გამოსვლებში.

იტალიის კომპარტიისაგან განსხვავებით არიან მთელი რიგი პარტიები, რომელნიც მოქმედებენ მცირე ქვეყნებში, სადაც ფაშისტური დიქტატურა გაცილებით უფრო გვიან დამყარდა, ვიდრე იტალიაში. ეს პარტიები თავისი საბრძოლო აქტივობის მხრივ ერთერთ პირველ ადგილზე გამოვიდნენ არალეგალურ კომპარტიებს შორის. ჩვენ მხედველობაში გვყავს ზოგიერთი პარტიები, რომელნიც მუშაობენ იმ გზებზე მდებარე ქვეყნებში, რა გზებითაც გერმანიის ფაშიზმი მიიწევს ახლო აღმოსავლეთისაკენ.

დიდი ზიანი მოაქვს კომუნისტური მოძრაობისათვის იმ ფაშისტურ დაზვერვათა გამხრწნელ მუშაობას, რომელნიც ცდილობენ თავიანთი პროვოკატორები და ჯაშუშები შეჰგზავნონ მის რიგებში. იაპონიაში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 60 ათასი კომუნისტი დააპატიმრეს, 1934 წლიდან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოთხი შემადგენლობა დაშალეს. ფაშისტურ დაზვერვებს ეხმარებიან ტროცკი და ტროცკისტები. პოლონეთში, იტალიაში, იაპონიასა და გერმანიაში ოხრანკები ფართოდ იყენებენ ტროცკის საზიზღარ ლიტერატურულ ნარწყევს იმ მიზნით, რომ გახრწნან დაპატიმრებული კომუნისტები. ტროცკისტები ფაშისტურ დაზვერვათა დავალებით იპარებიან სახალხო ფრონტისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციებში, რათა შიგნიდან ააფეთქონ ისინი.

იაპონიაში ტროცკისტებს „ოხრანკის ტვინის ტრესტს" უწოდებენ. პოლიციის მიერ სპეციალურად მოწყობილ სკოლებში ისინი კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს ასწავლიან იაპონელ ჯაშუშებს. ჩინეთში ტროცკისტები მოქმედებენ როგორც იაპონიის სამხედრო ჯაშუშები. მათ შესახებ იაპონიის დაზვერვის უფროსი ბიპინში საიდუმლო მოხსენებაში სწერდა:

„ტროცკისტთა ჯგუფს მხარი უნდა დავუჭიროთ და ხელი უნდა შევუწყოთ მის წარმატებებს, რათა მისმა საქმიანობამ ჩინეთის სხვადასხვა ადგილებში ხეირი და სარგებლობა მოუტანოს იმპერიას, რადგან ეს ჩინელები ქვეყნის გაერთიანების დამანგრეველნი არიან. მათი მუშაობა მაღალი ტექნიკითა და ოსტატობით გამოირჩევა".

ესპანეთში ტროცკისტები არიან ფაშისტური გერმანიისა და იტალიის მზვერავები, მე-5 კოლონის აგენტები, რომელნიც კონტრრევოლუციურ ამბოხებას აწყობენ მებრძოლი სახალხო არმიის ზურგში. ტროცკისტები ყველგან მოქმედებენ როგორც ფაშისტი პროვოკატორები მუშათა მოძრაობაში, მოქმედებენ როგორც ჯაშუშები და დივერსანტები სსრ კავშირის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული დაზვერვანი ფართოდ იყენებენ ტროცკისტებს და ყოველგვარ სხვა ფაშისტურ უწმინდურებას, ემიგრანტების სახით ჰგზავნიან მათ სსრ კავშირში ჯაშუშური მუშაობისათვის.

კომუნისტური მოძრაობის გახრწნის მიზნით ფაშისტ-ტროცკისტი ჯაშუშები ცდილობდნენ ხელოვნურად დაენერგათ ზოგიერთ კომპარტიაში „ფრაქციები" და „დაჯგუფებანი", გაეღვივებინათ ფრაქციული ბრძოლა. მტრული ელემენტებით ყველაზე უფრო დანაგვიანებული აღმოჩნდა პოლონეთის კომპარტია, რომლის ხელმძღვანელობაში შეიპარნენ პოლონეთის ფაშიზმის აგენტები. ეს არამზადები ცდილობდნენ 1926 წლის მაისში პილსუდსკის მიერ მოწყობილი ფაშისტური გადატრიალებისათვის მხარისდაჭერის გზაზე დაეყენებინათ პარტია. როცა ეს ვერ მოახერხეს, ისინი ინანიებდნენ „მაისის" შეცდომას, თვითკრიტიკის კომედიას აწყობდნენ კომინტერნის წინაშე, ატყუებდნენ მას ისევე, როგორც თავის დროზე ატყუებდნენ კომინტერნს ლოვსტონი, პოლიციური „ფრაქციონერები" უნგრეთისა და იუგოსლავიის პარტიებიდან. და კომინტერნის მუშაკთა დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მათ საშუალება მისცეს კლასობრივ მტერს მოეტყუებინათ ისინი, არ გამოამჟღავნეს თავის დროზე მათი მანევრები, დააგვიანეს ღონისძიებათა მიღება კომუნისტური პარტიების მტრული ელემენტებით დანაგვიანების წინააღმდეგ.

რა გააკეთეს კომპარტიებმა მავნებლობის შედეგებისა და კლასობრივი მტრის ძირგამომთხრელი მუშაობის ლიკვიდაციისათვის? კომუნისტურმა პარტიებმა ფართოდ გამოიყენეს ტროცკისტ-ბუხარინელ ბოროტმოქმედთა სასამართლო პროცესების გაკვეთილები თავის რიგებში ბოლშევიკური სიფხიზლის გამახვილების საქმეში. მათ ჩაატარეს თავიანთი ხელმძღვანელი აქტივის შემოწმება და თავიდან მოიცილეს ის ელემენტები, რომლებიც ეჭვს იწვევდნენ თავიანთი პოლიტიკური სიწმინდის მხრივ. მათ დაშალეს განსაკუთრებით დანაგვიანებული არალეგალური ორგანიზაციები და შეუდგნენ მათს ხელახლა ჩამოყალიბებას. ისინი სისტემატურ ბრძოლას აჩაღებენ ტროცკიზმის, როგორც ფაშისტური აგენტურის, წინააღმდეგ.

მტრის ძირგამომთხრელი მუშაობისა და პარტიის სუსტ რგოლებზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ერთერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს კომუნისტური პარტიების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება. თუ კომპარტიებს მხედველობიდან გამოეპარათ ტროცკიზმის გადაქცევა იმ „მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა გაშმაგებულ და უპრინციპო ბანდად, რომლებიც უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების დავალებით მოქმედებენ", ეს სხვა მიზეზებს გარდა კომპარტიების თეორიული ჩამორჩენილობის მეოხებითაც მოხდა.

კომპარტიების ამ თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თარგმნას უცხო ენებზე და განსაკუთრებით „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოცემას მრავალ ენაზე. მოკლე კურსის გამოცემას ენტუზიაზმით შეხვდნენ კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტები. მათ ესმით, რომ ეს წიგნი მათ უბადლო თეორიული იარაღით აიარაღებს, რომ იგი დაეხმარება მათ შეითვისონ, ლენინ-სტალინის პარტიის გამოცდილების თვალსაზრისით, თავიანთი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის განვითარება, მისი თავისებურებანი, მისი პერსპექტივები.

ზოგიერთ კომპარტიაში ერთიანი მუშათა და ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის ტაქტიკის ჩატარებისას გაჩნდა ერთგვარი მემარჯვენე-ოპორტუნისტული ხასიათის ტენდენციები, რომლებიც თავის გამოხატულებას იმაში ჰპოვებენ, რომ მიჩქმალონ ბრძოლა კაპიტულანტური ელემენტების წინააღმდეგ, მოახდინონ ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოების როლის იდეალიზაცია, მიაფუჩეჩონ მათი იმპერიალისტური ხასიათი. ასეთი ტენდენციების გამოჩენა, თუნდაც ჩანასახის სახით, იმას მოწმობს, რომ საჭიროა გამახვილდეს ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

პროფკავშირებში კომუნისტების მუშაობის საერთო უდავო გაუმჯობესებასა და ამ დარგში ერთგვარ მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად, კომპარტიების მეტმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მტკიცე პოზიციები მოეპოვებინა პროფკავშირებში, შეექმნა მებრძოლი პროფკავშირული აქტივი და მოეხდინა პროფმოძრაობაში რეაქციული ელემენტების გავლენის ლიკვიდაცია.

კომპარტიებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს, როგორც საჭიროა, ბრძოლა ფაშისტური დემაგოგიის წინააღმდეგ; ვერ შესძლეს ჩაეშალნათ გერმანული ფაშიზმის სპეკულაცია ნაციონალური საკითხით საარში, დანციგსა და სუდეტის ოლქში.

ისინი ჯერ კიდევ სუსტად დაეუფლნენ დიად სტალინურ ხელოვნებას წინასწარ განსჭვრიტონ მოვლენები, გაითვალისწინონ მათში სხვადასხვა სახელმწიფოების, კლასებისა და პარტიების როლი, წინასწარ დაინახონ მტრის მანევრები და შესძლონ თავის დროზე ჩაშალონ მათი გეგმები.

კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტები არასაკმაოდ არიან მომზადებულნი მოვლენათა მკვეთრი შეტრიალებისათვის და ჯერ კიდევ არ დაუფლებიან ბრძოლის იმ ფორმებს, რომლებსაც კარნახობს დაძაბული საერთაშორისო ვითარება. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ბრძოლის ამ ფორმების შეთვისებაში კომპარტიებმა მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულეს. ესპანელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ დახმარებას, რომელიც მსოფლიო კომუნისტურმა მოძრაობამ გაუწია მას ინტერნაციონალური ბრიგადების შექმნით.

ინტერნაციონალურ ბრიგადებში მარტო კომუნისტები არ ყოფილან, მაგრამ ამ საქმის დაწყება, მისი ორგანიზაცია მათ ეკუთვნით. საფრანგეთის კომპარტიამ ამ საქმისათვის თავისი ყველაზე უფრო ნიჭიერი მუშაკები, თავისი საუკეთესო ორგანიზატორები გამოჰყო. ადვილი საქმე არ იყო გადასროლა რამდენიმე ათეული ათასი კაცისა დახშული საზღვრებით, ზღვებით და ატლანტის ოკეანეთიც კი.

ბურჟუაზია მოხალისეთა საყოველთაო დაპატიმრებას ახდენდა, სდევნიდა და ასამართლებდა მათ, მაგრამ, ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, ხალხი მიდიოდა, ისინი, წელამდე თოვლში ჩაფლულნი, მთიანი ბილიკებით მიიპარებოდნენ ღამღამობით, მიდიოდნენ მებადურის ნავებით, თუმცა ყოველ წუთში მოელოდათ დახრჩობა. მოხალისეებად მიდიოდნენ ფრანგი პროლეტარები, პარიზის კომუნართა შვილიშვილნი, იტალიელი ემიგრანტები, გერმანელი ანტიფაშისტები, შესანიშნავი სნაიპერები—კანადელი ტყის მჭრელნი, მიდიოდნენ პოლონელი მუშები, რომელთა დომბროვსკის სახელობის ბატალიონმა, ებროზე შეტევის დროს, პონტონის ხიდების აგებას არ დაუცადა, გადასცურა მდინარე და პირველი შეიჭრა მტრის ძალთა შუაგულში.

ორმოცდაცამეტი ქვეყნის კომპარტიამ ინტერნაციონალური ბრიგადების რიგებში სხვა ხალხთან ერთად, რომელიც იქ მიისწრაფოდა, გაგზავნა პარტიის ცენტრალური კომიტეტებისა და ხელმძღვანელი აქტივის მრავალი წევრი. აქ იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორც გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში დასახიჩრებული ჰანს ბაიმლერი გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რომელიც პალესტში დაეცა შეძახილით: „როტ ფრონტ!" აქ იყვნენ იმ უნგრელი კომუნისტი მოხუცი ხევეშის ტიპის ადამიანები, რომელიც მეთაურობდა რაკოშის სახელობის ბატალიონს და რომელმაც უესკასთან იერიში მიიტანა მტრის ბეტონირებულ ფორტზე, აიღო იგი, ხოლო თვითონ ბატალიონის კომისართან ერთად გმირულად დაიღუპა. აქ იყვნენ რიგითი უბრალო მებრძოლნი, საბარგო მანქანის ინგლისელი შოფერი ჯონის ტიპისა, რომელმაც მტრის გრიგალისებრ ცეცხლში გამოიარა და მიუტანა წყალი წყურვილით დატანჯულ მებრძოლებს და რომელიც, სასიკვდილოდ დაჭრილი, ამბობდა: „ეს რომ ამხანაგ სტალინს ენახა, იგი მხარზე ხელს დამკრავდა და მეტყოდა: „შენ კარგად მოიქეცი, შენ მშვენიერი ამხანაგი ხარ, ჯონ" (**მქუხარე ტაში**).

ვინ არიან ეს ადამიანები? ესენი არიან ადამიანები სტალინური ეპოქისა, როდესაც გმირობა განუყრელი თვისება ხდება პარტიული და უპარტიო ბოლშევიკისა. ეს ადამიანები იმავე სტალინური წრთობისანი არიან, როგორც ისინი, რომლებიც იერიშზე მიდიოდნენ ხასანის ტბასთან ძახილით: — სამშობლოსათვის, კომუნიზმისათვის, სტალინისათვის! (**ყრილობა ფეხზე დგება და ტაშს უკრავს. შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!" „ვაშა!" მქუხარე ტაში**).

ინტერნაციონალური ბრიგადების შექმნა კომუნისტური მსოფლიო მოძრაობის სიმწიფის მაჩვენებელია, ეს არის კომინტერნის სექციების ბოლშევიკური წრთობა, ეს არის კომუნისტური კადრების შემოწმება ცეცხლში.

ამგვარად, მოვახდინოთ შეჯამება. განვლილი ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა, განმტკიცდა და დავაჟკაცდა კომუნისტური მოძრაობა. გაიზარდა ყველა ლეგალური კომპარტია და გაძლიერდა მათი გავლენა მასებზე. ახლებურად რაზმავენ თავიანთ რიგებს ჩამორჩენილი არალეგალური პარტიები, ისინი თავიანთ მძიმე ბრძოლაში დიდი გმირობისა და თავდადების მაგალითებს იძლევიან. ზოგი კომპარტია უკვე გახდა, ზოგი კი ხდება სერიოზული პოლიტიკური ფაქტორი თავის ქვეყნის ცხოვრებაში. იზრდება დაახლოება კომუნისტურ და სოციალ-დემოკრატიულ მუშათა შორის და კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების აქტივს შორის. გაძლიერდა პროლეტარების ნდობა კომუნისტებისადმი. კომუნისტებმა უკეთ ისწავლეს მასების საჭიროებათა და მოთხოვნათა გამოხატვა, თავიანთი მუშათა კლასისა და თავიანთი ხალხის ენით ლაპარაკი. გაძლიერდა კომპარტიების იდეური დარაზმულობა. მიუნხენის დღეებში, რომელმაც ხალხები, ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები კაპიტულანტებად და ფაშიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევის მომხრეებად დაჰყო, კომუნისტები ერთადერთი პარტია იყო, რომელმაც თავისი პოლიტიკური და ორგანიზაციული მონოლითობა შეინარჩუნა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპარტიათა რიცხვობრივი ზრდა და მასებში მათი გავლენის ზრდა არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც კომინტერნის სექციების წინაშე აყენებენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რომელიც ამჟამად ჩაღდება.

გ) მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ კომპარტიების, პროლეტარიატისა და მშრომელთა ბრძოლის გზა

ფაშიზმისა და ყაჩაღური ომების წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ინტერესები მოითხოვს, რომ მშრომელნი გაერკვიონ, თუ საით მიჰყავს საქმე მსოფლიო რეაქციას, და დასახონ **თავიანთი** გზა მისი ვერაგული ზრახვების ჩასაშლელად.

რა სურს რეაქციას? მას სურს გასრისოს ესპანეთის რესპუბლიკა, დაამყაროს ესპანეთში გერმანია-იტალიის ინტერვენტებისა და ინგლის-საფრანგეთის ბანკირთა სასურველი წესები; მერე მოსდგეს საფრანგეთს, რადიკალთა ხელით დაარტყას კომუნისტურ პარტიას, დააფრთხოს წვრილი ბურჟუები ზღაპრებით, რომ თითქოს კომუნისტები ომის პარტიაა, ბოლო მოუღოს სახალხო ფრონტს, ხოლო შემდეგ სანაგვეში გადაისროლოს რადიკალებიც, როგორც გამოწურული ლიმონი, გზა გაუხსნას ხელისუფლებისაკენ ფაშისტ ვიგინდარებს.

ინგლისში რეაქციას სურს მრავალი წლით განამტკიცოს კონსერვატორთა, როგორც „მშვიდობიანობის მხსნელთა" ხელისუფლება, ჩაშალოს ლეიბორისტთა ლიდერების ხელით სახალხო ფრონტის მოძრაობა, გახრწნას და დააუძლუროს ინგლისის მუშათა კლასი; ამერიკის შეერთებულ შტატებში დაეხმაროს ფორდებს, მორგანებსა და ჰერსტებს, რომ მათ ფეხქვეშ გასთელონ დემოკრატიული მოძრაობა.

რეაქციის სურვილია განადგუროს მუშათა მოძრაობა, დაამარცხოს სოციალიზმის ქვეყანა.

რა სურთ მუშათა კლასსა და მშრომელთ? მათ სურთ, რადაც უნდა დაჯდეს, დაეხმარონ **ესპანელ ხალხს** დაამყაროს თავის სახლში თავისთვის სასურველი წესები, მოაწყონ ესპანელი ხალხის საერთაშორისო დაცვა, გააჩაღონ მთელს მსოფლიოში ისეთი მოძრაობა, რომ რეაქციას დაეკარგოს თავისუფალი ესპანელი ხალხის ჩახშობის ხალისი.

მათ სურთ **შორეულ აღმოსავლეთში** არ დაუშვან ჩინეთის დანაწილება, დაეხმარონ ჩინელ ხალხს გააძევოს თავისი ქვეყნიდან იაპონელი დამპყრობელნი. მასების მოძრაობით შეაწყვეტინონ ბურჟუაზიულ მთავრობებს იაპონელ სამხედრო ხროვისათვის დახმარების გაწევა და მიაწოდონ ჩინეთს ყოველივე, რაც საჭიროა მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

საფრანგეთში მუშებს სურთ კვლავ სახალხო ფრონტის მხარეზე გადმოიყვანონ იმ გლეხობისა და წვრილ მოქალაქეთა შეყოყმანებული ნაწილი, რომლებიც უფრო-და-უფრო რწმუნდებიან, რომ მიუნხენის პოლიტიკას მოსდევს ფრანგი ხალხის გადაქცევა გერმანიის ფაშიზმის ვასალად; არა მარტო დაიცვან სახალხო ფრონტი, არამედ გააფართოვონ იგი იმ ფენების ხარჯზე, რომელთაც არც თვითონ სურთ წავიდნენ და არც სხვები უნდათ წაიყვანონ ფაშისტ აგრესორთა წინაშე კაპიტულაციის დამღუპველი გზით.

ინგლისში მუშებს სურთ ბოლომდე მიიყვანონ ბრძოლა, რომელიც უკვე დაიწყო სახალხო ფრონტის შესაქმნელად, და ამით გადამწყვეტი ლახვარი ჩასცენ არა მარტო ინგლისის, არამედ მსოფლიო რეაქციასაც; იმავე დროს სახალხო ფრონტისათვის ბრძოლის პროცესში უკან დაახევინონ ინგლისის ბურჟუაზიის პროფაშისტურ ელემენტებს, მხარი დაუჭირონ ფაშისტ აგრესორთათვის წინააღმდეგობის გაწევის მომხრეთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრომელთ სურთ დემოკრატიული მოძრაობის განმტკიცებითა და გაფართოებით ხელი შეუშალონ ხელისუფლების სათავეში რეაქციულ პროფაშისტური ელემენტების ჩადგომას.

ფაშისტური დიქტატურის ქვეყნებში — **გერმანიაში, იაპონიასა და იტალიაში** — მთელი მსოფლიოს მშრომელნი ცდილობენ ამ ქვეყნების მთავრობათა დამარცხებას ომში, მათ სურთ დაეხმარონ ამ ქვეყნების ხალხებს გამოვიდნენ ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ აშკარა მასობრივი ბრძოლის ფართო გზაზე, ბრძოლისა, რომელსაც მოჰყვება ფაშისტური ხელისუფლების დამხობა, რაშიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული საერთაშორისო მუშათა კლასი და ყველა მშრომელი. მათ სურთ ხელი შეუშალონ მსოფლიო რეაქციას იმაში, რომ მაშველი რგოლი გადაუგდოს გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ფაშისტურ მთავრობებს, რომელნიც ფინანსიური გაკოტრების უფსკრულში მიექანებიან. მათ არა სურთ დაუშვან, რომ მსოფლიო რეაქციამ ფაშისტურ მთავრობებს გადასცეს სურსათის, ნედლეულის, მადნის, ნავთისა და სხვ. წყაროები ახალი მტაცებლური ომების გასაჩაღებლად. მათ სურთ ხელი შეუშალონ იოლ „გამარჯვებათა" მოპოვებაში ფაშისტ დამპყრობთ, რომელნიც თავს ესხმიან სუსტ ხალხებს და რომელთაც ცეცხლზე უარესად ეშინიათ სერიოზული წინააღმდეგობისა.

ისინი მოითხოვენ ფაშისტური ექსპანსიისათვის, ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური დამონებისათვის, როგორც მათი სამხედრო დამონების პრელუდიისათვის, საერთაშორისო მუშათა კლასის, მთელი მსოფლიო ანტიფაშისტური ძალების მიერ წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაციას. მათ სურთ დახმარება გაუწიონ ბრძოლას გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ, ბრძოლას ავსტრიის დამონებული ხალხისას, ჩეხო-სლოვაკიისა და უნგრეთის ბორკილდადებულ ხალხებისას, რუმინეთისა და იუგოსლავიის ხალხებისას, რომელთაც დამონების საფრთხე ემუქრებათ. მათ სურთ მხარი დაუჭირონ დამონებულ აბისინელ ხალხს იტალიის ფაშიზმის წინააღმდეგ. ისინი **იბრძვიან ხალხთა ფრონტის შექმნისათვის, ფაშისტ აგრესორთა ბლოკისადმი საერთაშორისო წინააღმდეგობის ფრონტის შექმნისათვის.**

მშრომელთ სურთ საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი, რათა ბოლო მოუღონ სოციალ-დემოკრატიის რეაქციონერ ლიდერთა კაპიტულანტურ პოლიტიკას. ასეთი ფრონტი მუშათა მოძრაობას დაბნეულობისა და დეზორგანიზებულობის მდგომარეობიდან ფაშიზმის წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლების გზაზე გამოიყვანს. იგი გააძლიერებს მილიონობით პროლეტართა რწმენას თავიანთი ძალებისადმი, ამ რწმენას გადასცემს მშრომელთა უფართოეს ფენებს, გლეხობას, ქალაქის მდაბიო ხალხს. იგი გააძლიერებს ფაშისტური აგრესიის მიმართ ხალხთა მასების წინააღმდეგობის ძალას ყველა ქვეყანაში, აამხედრებს გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ხალხებს ფაშისტური დიქტატურის დასამხობად. **მუშათა საერთაშორისო ერთიანი ფრონტის დამყარება ფაშიზმის უსაშინელესი დამარცხება იქნებოდა.**

მშრომელთ სურთ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან, შეიარაღებულ საბჭოთა ხალხთან, რომელსაც აქვს მძლავრი სახელმწიფო, გამარჯვებული სოციალიზმის მატერიალური ძალა. ეს ფრონტი მშვიდობიანობის ნამდვილი გარანტია იქნება. ასეთი ფრონტის ურყევ სალ კლდეზე შუბლს გაიხეთქავს მსოფლიო რეაქცია.

კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთ, რომელნიც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა კრიზისებმა, უმუშევრობამ, სიღატაკემ, ფაშისტურმა ტერორმა, იმპერიალისტურმა ომებმა და რომლებიც აამოძრავა საბჭოთა ხალხის უდიდესმა სოციალისტურმა გამარჯვებებმა, სურთ იცხოვრონ უფაშიზმოდ, უკაპიტალიზმოდ. **მათ სურთ სოციალიზმი.** და სწორედ ამიტომ შმაგდება სულთმობრძავი კაპიტალისტური სამყარო. მას სურს თავი გადაირჩინოს ფაშიზმით. მაგრამ ფაშიზმი ვერ იხსნის კაპიტალიზმს დაღუპვისაგან, რადგან ფაშიზმი მხოლოდ უფრო ღრმად და ღრმად ავრცელებს მასების უკმაყოფილებას, ამზადებს უდიდესი გამანადგურებელი ძალის აფეთქებას. ვერ იხსნის ფაშიზმს იმპერიალისტური ომები, რადგან მისი იმპერიალისტური ომები ხელფეხს უხსნის რევოლუციას. ვერ იხსნის კაპიტალიზმს მსოფლიოს ახალი გადანაწილება, რადგან მსოფლიოს ახალი გადანაწილება მხოლოდ აღრმავებს კაპიტალისტურ ქაოსს.

ვერ გადაირჩენს თავს სულთმობრძავი კაპიტალისტური სამყარო სსრ კავშირის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ომით, და მხოლოდ დააჩქარებს თავისი თავის დაღუპვას. დიადი საბჭოთა ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობა შეარყევს შრომის მთელს სამყაროს, ყველა იმათ, ვისი თავისუფლების, შრომის, უკეთესი ცხოვრების, ქვეყნის დამოუკიდებლობის უფლებაც ფეხქვეშ გასთელა ფაშიზმმა. იგი დედამიწის ყოველ კუთხეში აამხედრებს პროლეტარებსა და მშრომელებს, რომელთაც შეგნებული აქვთ, რომ დადგა ჟამი ანგარიშის გასწორებისა მათი საუკუნეებრივი წამებისათვის. იგი ხელფეხს გაუხსნის მთელს მსოფლიოში ანტიფაშისტური ძალების მძლავრ მოძრაობას, იმ ძალებისას, რომელნიც გამხნევებული იქნებიან ფაშიზმისადმი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგობის უდიდესი ძალით. იგი ბრძოლისათვის აამოძრავებს ხალხებს, რომლებიც აქამდე ერიდებოდნენ ფაშიზმთან შეტაკებას. იგი ფაშიზმის წინააღმდეგ მოაბრუნებს ფაშისტურ სახელმწიფოთა ხალხებს, რომელთაც ხელში ექნებათ იარაღი. ფაშისტურ მთავრობათათვის ეს იქნება ომი არა მარტო სსრ კავშირის წინააღმდეგ, არამედ ეს იქნება ომი საკუთარი ხალხების წინააღმდეგაც. საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობისათვის ეს იქნება ყველაზე უფრო სამართლიანი, საღვთო ომი, როგორიც არასოდეს არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში, ომი, რომელიც **„აუცილებლად გახსნის მთელ რიგ რევოლუციურ კვანძებს მოწინააღმდეგეთა ზურგში, გახრწნის და დემორალიზაციას შეიტანს იმპერიალიზმის რიგებში".** (ლენინი და სტალინი, ტომი 3, გვ. 10).

კომინტერნის 20 წელი ლენინურ-სტალინური გზით

ამხანაგებო!

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სხდომები ხდება იმ დღეებში, როდესაც ოცი წელი სრულდება კომინტერნის დაარსების დროიდან.

„III, კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, — სწერდა ლენინი, — იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიწყო მარქსის უდიდესი ლოზუნგის განხორციელება, იმ ლოზუნგისა, რომელმაც შეაჯამა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საუკუნეებრივი განვითარების შედეგი, ლოზუნგისა, რომელიც გამოიხატება ცნებით: პროლეტარიატის დიქტატურა". (ლენინი, თხზ. კრებ., ტ. XXIV, გვ. 248).

კომუნისტური ინტერნაციონალი ლენინ-სტალინის გზით მიდიოდა, როდესაც გააერთიანა პროლეტარული ავანგარდი, დიადი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით წამოყენებული ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სიღრმიდან. კომინტერნის შექმნა უპასუხებდა ძირითად ინტერესებსა და ისტორიულ მიზნებს მსოფლიო მუშათა მოძრაობისას, რომელიც გათიშული იყო ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიის კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკით, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს პროლეტარული რევოლუციის ინტერესებისათვის მისი აშკარა ღალატით.

კომუნისტური ინტერნაციონალი ლენინურ-სტალინური გზით მიდიოდა, როდესაც ყოველივე ღონეს ხმარობდა იმისათვის, რათა რევოლუციური მასების მოძრაობა ცენტრალურ ევროპაში 1918-23 წლებში კაპიტალიზმის დამხობისაკენ წარემართნა. იგი ამ გზით მიდიოდა, როდესაც იბრძოდა „რეფორმიზმისა" და ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელთა დახმარებითაც ბურჟუაზიას უნდოდა თავი დაეხსნა რევოლუციური მასების იერიშისაგან და გზა გადაეღობა პროლეტარული რევოლუციისათვის.

კომინტერნი ლენინ - სტალინის გზით მიდიოდა, როდესაც კაპიტალიზმის ნაწილობრივი და შედარებითი სტაბილიზაციის პერიოდში მთავარი ცეცხლი წარმართა სოციალ-დემოკრატიისაკენ, რომელიც თავისი პოლიტიკით დახმარებას უწევდა ბურჟუაზიულ რეაქციას განმტკიცებულიყო და შეტევაზე გადასულიყო მუშათა კლასისა და მშრომელთა წინააღმდეგ.

კომინტერნი ამ გზით მიდიოდა, როდესაც თავის რიგებს სწმენდდა თანამგზავრებისაგან, რომლებიც 1918-23 წლების რევოლუციური აღფრთოვანების ტალღამ შემთხვევით მორეკა კომუნისტურ ნაპირთან, როდესაც შეუბრალებლად სპობდა ოპორტუნისტულ სენს, სოციალ-დემოკრატიზმის, ცენტრიზმის, ანარქოსინდიკალიზმის იდეოლოგიის ნაშთებს. იგი ამ გზით მიდიოდა, როდესაც კურსი აიღო თავისი სექციების ბოლშევიზაციისაკენ, ბრძოლა დაიწყო ორ ფრონტზე, ამოსწვა უპრინციპო ფრაქციონიზმი და გეზი აიღო იმისაკენ, რომ გამოეჭედა ბრძოლაში მონოლითური კომპარტიები.

ლენინურ-სტალინური გზით მიდიოდა კომინტერნი, როდესაც მსოფლიო ეკონომიური კრიზისის შედეგად შეტევაზე გადმოსული ფაშიზმის, ახლად დაწყებული იმპერიალისტური ომების წინაშე მოუწოდებდა მასებს ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ერთიანი მუშათა და ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის შექმნისაკენ. ამით კომინტერნი უპასუხებდა გულისნადებს მილიონობით მშრომელებისას, რომელთაც სურთ კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროონ თავიანთი რიგები, გაერთიანდნენ, რათა საერთო ღონისძიებით დააღწიონ თავი ფაშისტური ტერორის მხრივ წამებას, მტაცებლური ომების სისხლიან ჯოჯოხეთს, გახრწნის პროცესში მყოფი კაპიტალისტური წყობილების მხეცობის კლანჭებს.

კომინტერნის ოცი წლის გზა, სოციალისტური რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის გზა—ეს იოლი გზა როდია. იგი დაკავშირებულია არა მარტო გამარჯვებებთან, არამედ უდიდეს სიძნელეებთანაც და დროებით დამარცხებებთანაც.

„...რევოლუცია, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ჩვეულებრივ ვითარდება არა პირდაპირი აღმავალი ხაზით, აღმავლობის განუწყვეტელი ზრდის წესით, არამედ ხვეულების გზით, შეტევათა და უკანდახევათა გზით, მოქცევათა და უკუქცევათა გზით, რაც განვითარების მსვლელობაში აწრთობს რევოლუციის ძალებს და ამზადებს მის საბოლოო გამარჯვებას". (კრებული: ლენინი და სტალინი, ტ. 3, გვ. 7).

ამ ოცი წლის განმავლობაში მსოფლიო ბურჟუაზია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აღეგავა პირისაგან მიწისა კომუნისტური მოძრაობა. იგი აპატიმრებდა, აწამებდა, ჰხოცავდა კომუნისტებს. იგი აძევებდა მათ საწარმოებიდან, ართმევდა სამუშაოს. აწყობდა მათ რბევას. იგი ცეცხლს უკიდებდა რაიხსტაგებს. ამზადებდა „კომინტერნის" ყალბ მასალებს, სდებდა საერთაშორისო პოლიციურ შეთანხმებებს. კომუნისტების წინააღმდეგ არა ერთხელ გაულაშქრიათ ბურჟუაზიის საჭურველთმტვირთველთ, სოციალ-დემოკრატიისა და რეფორმისტული პროფკავშირების რეაქციულ ლიდერებს.

მუშათა კლასის დაუძინებელი მტრები, რომლებიც ფაშისტურ დაზვერვათა აგენტებად იქცნენ, ცდილობდნენ ბოლშევიკური გზისათვის აეცდინათ კომუნისტური მოძრაობა, გაეხრწნათ და დაეღუპათ იგი. ამხანაგი სტალინი დაეხმარა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას კლასობრივი მტრის აგენტების კონტრრევოლუციური ზრახვების მხილებასა და ჩაშლაში. საკ. კ. პ. (ბ) მისი ხელმძღვანელობით გაანადგურა, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ძლევამოსილი გზიდან აღგავა საზიზღარი ფაშისტი ქია-ღუები და ამით განამტკიცა მსოფლიო კომუნიზმის პოზიციები.

ამხ. სტალინმა არა მარტო დაიცვა მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრება მტრული ელემენტების მხრივ დამახინჯებებისაგან, არამედ წინ კიდევ უფრო განავითარა იგი კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის ახალ პირობებთან შეფარდებით, მან ამ მოძღვრებით შეაიარაღა საერთაშორისო პროლეტარიატი, კიდევ უფრო გააფართოვა მისი ჰორიზონტები, კიდევ უფრო კონკრეტულად ჩამოაყალიბა მისი ბრძოლის პერსპექტივები, ბრძოლის კიდევ უფრო მეტი რწმენით აღავსო ყველა ქვეყნის მუშები.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხებმა აღმართეს მძლავრი სოციალისტური ციხესიმაგრე, ყოველ დღე აძლიერებდნენ მას თავიანთი სოციალისტური გამარჯვებებით, ამით ისინი დაუცხრომლად ანმტკიცებდნენ საერთაშორისო პროლეტარიატისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა პოზიციებს.

აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ბურჟუაზიის ვარაუდი დამარცხდა.

ვარაუდი დამარცხდა იმიტომ, რომ არ შეიძლება კომუნიზმის მოსპობა, ისევე როგორც არ შეიძლება მისი მატარებლის, მუშათა კლასის მოსპობა,—იმიტომ, რომ კომუნიზმი არის კონცენტრირებული გამოხატულება მუშათა კლასის ძირითადი ინტერესებისა, მისი მოძრაობის საბოლოო მიზნებისა, რომლებიც ყველა მშრომელთა ინტერესებს ემთხვევა. ბურჟუაზიის ვარაუდი დამარცხდა იმიტომ, რომ კომუნიზმის იდეა კაცობრიობის საუკეთესო შვილების უკვე განყენებული ოცნება აღარ არის; ამ იდეამ თავისი მატერიალური განხორციელება ჰპოვა სსრ კავშირში, რომელიც სწორ გზას უჩვენებს საერთაშორისო მუშათა კლასს და ყველა მშრომელს მათი განთავისუფლებისათვის.

მსოფლიო ბურჟუაზიის ვარაუდი დამარცხდა იმიტომ, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების დიადი სტალინური საქმით გაძლიერდა და განმტკიცდა სსრ კავშირის მუშათა კლასისა და ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასის ინტერნაციონალური პროლეტარული კავშირურთიერთობა. ბურჟუაზიის ვარაუდი დამარცხდა იმიტომ, რომ დღითი-დღე კი არა, არამედ საათობით ძლიერდება სოციალიზმის მძლავრი ქვეყანა, იმიტომ, რომ კომპარტიები თავის წინსვლის გზას მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრების ჩირაღდნით ინათებენ (**მქუხარე ტაში**).

მსოფლიო ბურჟუაზიის ვარაუდი დამარცხდა და კვლავ დამარცხდება იმიტომ, რომ მუშათა კლასისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე სდგას მშრომელი კაცობრიობის გენიოსი—ამხანაგი სტალინი.

(**მქუხარე ტაში, ყველანი დგებიან, შეძახილები: „ვაშა!", „გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!"**).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება დღეს, 15 მარტს, რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 16) საღამოს სრულ 7 საათზე. კურსების მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის თეატრში: სევილიელი დალაქი. მუდმ. ადგ. ტალ. № 120.

რუსთაველის სახელობის — უდანაშაულოდ დამნაშავენი. წარმ. 138.

მარჯანიშვილის სახელობის — უბრალო გოგონა.

ცირკში — ახალი პროგრამა.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—38, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი; კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 610